სიკეთემ უნდა სძლიოს ბოროტებას!

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოლოვუფი სიფფვაა, ფფუილებით და ჭიბებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი, 31 ოქტომბერი. 2020 წ. №147 (9073) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

ანტიდემოკრატიული საცეცები

იყუჩეთ, სამშობლოს გამყიდველო სოროსელებო! გვაცალეთ არჩევნების მშვიდობიანად ჩატარება!

4

ნაციონალების კიდევ ერთი მსხვერპლშეწირვა...

არა, ამათ უსისხლოდ საქმის კეთება არ შეუძლიათ, თუკი საქმეს დავარქმევთ 30 ოქტომბერს, საღამო ხანს, მთელი საქართველოდან ცხვარივით თბილისში, თავისუფლების მოედანზე თავმოყრილი ხალხის ნაძალადევ ვაიმიტინგს, რომელმაც ოკუპანტის ენაზე ბუბას სიმღერის თანხლებით ჩაიარა.

„ოცნების“, კერძოდ, ბიძინა ივანიშვილის ლანძღვით გაძღნენ, მთქნარებით თავაკანტურებულ ვითომ მხარდამჭერთ შიგადაშიგ რეპით და ჯაზით ართობდნენ... და ეკრანზე გამოჩნდა ის მოგვი, რომელიც დღეს პრემიერობას ეპიარება. გახსოვთ, ალბათ, მან ამას წინათ ტესტი ჩაიტარა ამერიკაში და 99 პროცენტი ვითომ ქართველი გამოდგა, ხოლო 1 პროცენტი — ბერძენი. ძნელი წარმოსადგენი არ არის, თვითონ რას ფიქრობს ამ ტესტზე, ხალხში კი ხმა გავარდა, ნაბიჭვარი ყოფილა, ბუში, და ბუშსაც იმიტომ დაუძმაკაცდაო.

ჰოდა, ამ პოლიტიკურმა ნაბიჭვარმა გუშინ კიდევ ერთი მსხვერპლშეწირვა განახორციელა... მიტინგიდან სამეგრელოში მიმავალ ნაციონალთა მიერ მოტყუებით თუ მოსყიდვით სავსე მიკროავტობუსს თურქული ტრაილერი დაეჯახა გორთან და ექვსი ადამიანი გარდაიცვალა, ხოლო ათზე მეტი დაშავებული გორის საავადმყოფოში გადაიყვანეს... და ჭირისუფლად უმალ გაჩნდა ზემოხსენებული პოლიტიკური ნაბიჭვრის პატრული ხატუკა დეკანოიძე და ნიანგის ცრემლების ღვრით სამძიმარი შეუთვალა დაღუპულთა ოჯახებს. ვაი, რა, ნიჭიერი, რა მამულიშვილები დავკარგეთო. ეს მაშინ, როცა ალბათ, არც იცოდა, ვისთვის ღვრიდა ნიანგის ცრემლებს.

განა ეს ეგრეთ წოდებული წინასაარჩევნო უბადრუკი მიტინგი ღირდა ამდენი ქართველის სიცოცხლედ?!

ღმერთო, შენ დაიფარე უძღები, უმადური, უბადრუკი შვილებისგან სამშობლო ჩვენი!..

პრეზიდენტის სამძიმარი

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი გორთან მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევასთან დაკავშირებით მწუხარებას გამოთქვამს.

„მწუხარებას გამოვთქვამ გორთან მომხდარი ტრაგედიის გამო. ვუსამძიმრებ გარდაცვლილთა ოჯახებსა და ახლობლებს, დაზარალებულებს კი სწრაფად გამოჯანმრთელებას ვუსურვებ“, — წერს სალომე ზურაბიშვილი ფეისბუქის საკუთარ გვერდზე.

ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲐᲚᲘ

კაცს რომ ღმერთი გაუწყრება, ჯერ ჭკუას გამოაცლისო, — ნათქვამია. ამის შემდეგ ის ჭკუაგამოცლილი კაცი თვითონ სჯის თავის თავს, სხვის ჩაურევლად. დასასჯელი კი არის, რადგან ღმერთი უმიზეზოდ არ გაუწყრებოდა. მაინც რა მიზეზია ისეთი, ღვთის წყრომა რომ გამოიწვია? ეს არის ცოდვა, რომელიც შეგნებულად, თუ შეუგნებლად ჩაიდინა კაცმა თუ ერმა.

ის უბედურება, რაც ჩვენს თავზე და, საერთოდ, ცივილიზებული კაცობრიობის დიდი ნაწილის თავზე ტრიალებს, ღვთის წყრომის შედეგად ჭკუაგამოცლილი ხალხის ხვედრია, ნამდვილად! დიდი დაკვირვება და მაღალი ინტელექტი არ სჭირდება იმის დანახვას, რა უაზრობებს აკეთებენ და რა უბედურებისაკენ მიისწრაფიან ზნეობადაკარგული დღევანდელი ე.წ. „დაწინაურებული“ ერები თუ სახელმწიფოები. ჭკუაგამოცლილი კაცი თუ ერი და სახელმწიფო ზნეობადაკარგული იქნება, აბა რა!

სხვის ცოდვებს მე ვერ ჩამოვთვლი და არც მევალება ეს. საკუთარი ერისა თუ ხალხის ცოდვები კი, მოდით, ერთად გავიხსენოთ და დავრწმუნდებით, რატომ და რისთვის ვისჯებით ასე!

საქართველოს უპირველესმა ბრძენკაცმა, თავისი სამშობლოსათვის უშურველად ნაღვაწმა და თავშეწირულმა დიდმა ილია ჭავჭავაძემ დიდი გულისტკივილით გამოხატა თავისი მშობელი ხალხის ამგვარი შეფასება: „ყველა ყრუი, ყველა ცრუი, მტრის ვერ მცნობი, მოყვრის მგმობი!..“ სწორედ ამის დასტური იყო ის „ბერდანკის ტყვია“, რომელიც ჩვენმა თანამემამულეებმა დაახალეს მას ნათელ შუბლში!

„ღმერთო შეაყვარე ქართველებს საქართველო, რამეთუ ამ უკანასკნელს არაფერი დაუშავებია მათთვის“, — ვედრებით მოთქვამდა გენიალური ვაჟა-ფშაველა, რომელიც უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობდა და აუცილებელი წამლის ფულიც კი არ ჰქონდა. ეს მაშინ, როდესაც მისი მდიდარი თანამემამულეები სრა-სახლებს იშენებდნენ ან მამულებს ჰყიდდნენ უცხოტომელებზე, თავიანთი გაუთავებელი ღრეობებისთვის აღებული ვალების გასასტუმრებლად.

„ყველა ცრუი, ყველა ყრუი“-ო ილია რომ ამბობდა, მაშინ ნამეტნავად თვალში საცემი იყო სიცრუე და სიყრუე, ამიტომ თქვა იმ ბრძენკაცმა ხაზგასმით: „ყველა“-ო — აქცენტი გაამძაფრა! ახლა სიცრუე საყოველთაო მოვლენაა და ის კაცი, რომელიც არ ცრუობს, სწორედ „თეთრ ყვავად“ ჩანს და არანორმალურად არის მიჩნეული, ანუ დღეს ნორმალურია სიცრუე, მართლის თქმა კი — არანორმალური! ამას ღირებულებათა გადანაცვლება ჰქვია: „ცუდმა“ და „კარგმა“ ადგილები შეინაცვლეს. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, შეფასების კრიტერიუმების შინაარსის მეტამორფოზა მოხდა, რამაც ღირებულებათა დევალვაცია გამოიწვია.

იხ. 6 გვ.



ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐ — ᲚᲣᲩᲐᲜᲝ ᲞᲐᲕᲐᲠᲝᲢᲘ

7

არ გვყავს დასაკარგი მოქალაქეები!

„პირველ რიგში, მინდა, გამოვეხმაურო იმ მძიმე ტრაგედიას, რომელიც გორის მახლობლად დატრიალდა. რა თქმა უნდა, პირველ რიგში, უნდა მივუსამძიმროთ დაღუპულების ოჯახებს. მე ხაზგასმით მინდა მივუსამძიმრო ზუგდიდს, ხობს, ჩხოროწყუს. ჩვენ არ გვყავს დასაკარგი ჩვენი მოქალაქეები. ჩვენი ექიმები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ჩვენი მოქალაქეების სიცოცხლე გადაარჩინონ“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

გიორგი გახარია: მე ჩემი საკუთარი რეიტინგი მაქვს, მერე გაგიმხელთ, არჩევნები რომ დამთავრდება

არანაირი რეიტინგები და კვლევები არ მჭირდება, მათ შორის ოპოზიციური ტელევიზიების ან პარტიების გაკეთებული, რადგან ძალიან ახლო ურთიერთობა მაქვს ხალხთან და მე ჩემი საკუთარი რეიტინგი მაქვს,მერე გაგიმხელთ, არჩევნები რომ დამთავრდება, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი გახარიამ საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

როგორც გიორგი გახარიამ აღნიშნა, წინასაარჩევნო პერიოდში, ოპოზიციის კომენტარი, ნარატივი, იყო აბსოლუტურად ცარიელი შინაარსისგან.

კითხვაზე, არჩევნების შემდეგ ოპოზიციის ხმების დაცვის სახელით აქციების გამართვას ხომ არ გეგმავს, პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ვიღაცის ფანტაზიებში რაღაც შეიძლება დაიბადოს, მაგრამ გამოხატვის თავისუფლებას, ვიდრე ის შეესაბამება სამართლებრივ წესებსა და ნორმებს, არაფერი ემუქრება. **„პოლიცია დაიცავს თითოეულ მოქალაქეს. როგორც კი, ეს გავა ზღვარს, რისკს შეუქმნის სხვა მოქალაქეს ან შენობებს, რა თქმა უნდა, პოლიცია იმოქმედებს თავის მანდატში, კანონის სრული დაცვით“,** — განაცხადა გიორგი გახარიამ.

სექტემბრის ეკონომიკური ზრდა იყო მინუს 0,7 პროცენტი, რაც პირდაპირ მიუთითებს ქვეყნის სწრაფ ეკონომიკურ გაჯანსაღებას!

სექტემბრის ეკონომიკური ზრდა იყო მინუს 0,7%, რაც პირდაპირ მიუთითებს ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური გაჯანსაღებისა და აღდგენის იმ სერიოზულ პოტენციალზე, რომელიც დღეს უკვე ფაქტია, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. მთავრობის მეთაურის შეფასებით, ეს ხელისუფლების, ეპიდემიოლოგების, ბიზნესისა და მოქალაქეების ერთობლივი ძალისხმევის შედეგია.

„სისტემური ლოკდაუნი სახელმწიფოს მასშტაბით არ იქნება. იქნება წერტილოვანი, დროებითი შეზღუდვები, კონკრეტული მიზნების მისაღწევად, თუმცა ეს ყველაფერი დამოკიდებულია, რამდენად ეფექტურად დავიცავთ ელემენტარულ წესებს, პირბადეს, დისტანციას და ა.შ. მეორე ტალღაზე გამარჯვებაც ჩვენი საერთო გამარჯვება უნდა იყოს. პირველი ტალღის დროს და დღემდე, ჩვენს ბიზნესთან, ჩვენს მოქალაქეებთან და ეპიდემიოლოგებთან, ჩვენი საერთო მუშაობის შედეგი გახლავთ ის, რომ სექტემბერში უარყოფითი ეკონომიკური ზრდა ქვეყანაში დასულია მინიმუმამდე. ამ მოცემულობაზე დაყრდნობით, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები, ჩვენი პარტნიორები, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც აქვს ყველაზე რეალური შანსი, ეკონომიკური აღდგენის ეტაპზე რეგიონში იყოს ლიდერი. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ეს წარმატება შევინარჩუნოთ“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურმა მსოფლიოსა და საქართველოში ეპიდემიოლოგიური ვითარების შესახებ ისაუბრა. „ჩვენ გვქონდა საბჭოს სხდომა დღეს, რომელმაც იმსჯელა მიმდინარე ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობაზე. დღეს, სამწუხაროდ, მსოფლიოში ახალი ქეისების მორიგი ახალი ანტირეკორდია. ყველანი ერთად ვხედავთ და თვალყურს ვადევნებთ, როგორ მიმდინარეობს ევროპაში კონკრეტული, წერტილოვანი შეზღუდვები, ზოგ შემთხვევაში ლოკდაუნებიც. სამწუხაროდ, უკვე რვა ქვეყანაა მსოფლიოში, რომელმაც მილიონიან ნიშნულს გადააჭარბა ინფიცირებულთა რაოდენობით. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ზრდის გამოწვევებს, როგორც გლობალურს, ასევე ჩვენი ქვეყნის წინაშეც.

ყველაზე მნიშვნელოვანი არის პირბადის ტარება როგორც დახურულ, ასევე ღია სივრცეებში. **„მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენმა მოქალაქეებმა უფრო ხშირად დაიწყეს პირბადის ტარება. პირდაპირი მიზეზ-შედეგობრივი კავშირია, პირბადის ტარებასა და ინფექციის გავრცელების სისწრაფეს შორის. ამიტომ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ვატაროთ პირბადე როგორც დახურულ შენობაში, ასევე ღია სივრცეში. ეს ჩვენი პასუხისმგებლობაა, პირველ რიგში ჩვენი თანამოქალაქეების, ახლობლების ჯანმრთელობის წინაშე და ასევე ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარების წინაშე. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ მინიმალური ზიანი მივაყენოთ ქვეყნის ეკონომიკას. ამიტომ, ჩვენ გვაქვს ამის შესაძლებლობა და შეგვიძლია, როგორც პირველ ტალღას გავუმკლავდით წარმატებულად, ერთად, ზუსტად იგივე გავაკეთოთ ერთად, მეორე ტალღის პერიოდში, ჩვენს მოქალაქეებთან ერთად, ბიზნესთან ერთად, შესაბამის სამინისტროებთან, ექიმებთან, პოლიციასთან ერთად, ყველამ ერთად დავიცვათ მაქსიმალური წესები. ეს არ არის რთული წესები. დღესდღეობით, ყველაზე მნიშვნელოვანი გახლავთ პირბადის ტარება ნებისმიერ სივრცეში, როგორც დახურულში, ასევე ღია სივრცეებში, სამწუხაროდ, უფრო ეფექტური გამოგონილი ვერ იქნა“.**

პრორუსული ვინ იყო, გუშინ ვნახეთ, ჩემთვის ეს იყო ქვეცნობიერის ჩვეულებრივი გამოვლენა

თემა საერთოდ რომ არ გაქვთ, თემა დღეს გახდა „გრუ“-ს რაღაც ანალიტიკური წერილები, სამწუხაროდ. ამაზე მეტ კომენტარს ვერ გავაკეთებ.

პრემიერმა კითხვის პასუხად ჟურნალისტს მოუწოდა, წყაროების ადეკვატურობასა და ობიექტურობას ყურადღება მიაქციონ.

„რაც შეეხება „გრუ“-ს, ჩემს გაკვირვებას რა იწვევს იცით, „გრუ“-ს გეგმები და „გრუ“-ს ანალიტიკური მასალები თქვენ საიდან გაქვთ? თქვენ გახვრიტეთ „გრუ“, იქიდან წამოიღეთ რაღაც, ქართულ უშიშროებასაც ალბათ, თქვენ მიეცით. ესე იგი, ჩვენი ქვეყნის უშიშროებამ გადმოგცათ? ისე წყაროები უნდა დაიცვათ, რა თქმა უნდა, ოღონდ ამ წყაროების ადეკვატურობასა და ობიექტურობას ცოტა ყურადღება უნდა მიაქციოთ. ამაზე უბრალოდ სერიოზულ კომენტარს ვერ გავაკეთებ, მარტივი მიზეზების გამო. საერთოდ, ამ ქვეყანაში, იმის გამო, რომ სუსტ ოპოზიციას არ აქვს შინაარსობრივი თემები, ყოველ ჯერზე, არჩევნებამდე ორი — სამი დღით ადრე საკითხი ხდება რუსეთი, პრორუსულობა და ახლა პრორუსული ვინ იყო, გუშინ ვნახეთ, ეს იყო ჩვეულებრივი ქვეცნობიერის გამოვლენა ჩემთვის, პირდაპირ გეუბნებით და ლარის კურსი, დღეს ლარის კურსი, ასე თუ ისე დასტაბილურებულია. თემა საერთოდ რომ არ გაქვთ, თემა გახდა დღეს „გრუ“-ს რაღაც ანალიტიკური წერილები, სამწუხაროდ...

„არჩევნების დღეს 70-ზე მეტი გუნდი 1000-ზე მეტ საარჩევნო უბანს დააკვირდება“

საქართველოში ევროკავშირის ელჩის კარლ ჰარცელის განცხადებით, 31 ოქტომბერს 70-ზე მეტი გუნდი 1000-ზე მეტ საარჩევნო უბანს დააკვირდება. ევროპელ დიპლომატთა სადამკვირვებლო გუნდის შესახებ განცხადება საელჩომ გაავრცელა.

„ჩვენი გუნდი ასე გამოიყურება და, როგორც ხედავთ, იმავე მკაცრ წესებს დაიცავს კოვიდის წინააღმდეგ, რომელიც უნდა დაიცვას ყველამ, ვინც ამ არჩევნებში მონაწილეობს.

ჩვენი მიზანია, დავეხმაროთ ეუთო/ოდირის მისიის ძალისხმევას. ჩვენ ასევე ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციებთანაც მჭიდროდ ვითანამშრომლებთ“, — წერია ჰარცელის განცხადებაში.

ელჩი აღნიშნავს, რომ ევროკავშირი მზადაა, უფრო მეტად გამყარდეს ნდობა არჩევნების მიმართ დამატებითი საერთაშორისო „თვალისა და ყურის“ საშუალებით.

„ჩვენთვის და ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობებისათვის მთავარია არა ის, თუ ვინ გაიმარჯვებს ამ არჩევნებში, არამედ ის, თუ როგორ იქნება მოპოვებული ეს გამარჯვება. ანუ ის, თუ როგორ ჩატარდება ეს არჩევნები და ამაზე პასუხისმგებლობა ყველა პოლიტიკურმა მოთამაშემ უნდა აიღოს“, — ამბობს ელჩი ჰარცელი.

...რათა არჩევნები უსაფრთხოდ ჩატარდეს

საპარლამენტო არჩევნებზე საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად, ყველა რეგიონში პოლიციის მობილური ჯგუფები შეიქმნა. ამის შესახებ ინფორმაციას შსს ავრცელებს.

„2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების უსაფრთხო, თავისუფალ და მშვიდ გარემოში ჩატარების უზრუნველსაყოფად:

საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების შესაბამისად ყველა რეგიონში შეიქმნა პოლიციის მობილური ჯგუფები, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მოახდენენ მყისიერ რეაგირებას სამართალდარღვევებზე და უზრუნველყოფენ მართლწესრიგის დაცვას.

არჩევნების მშვიდ გარემოში წარმართვის უზრუნველსაყოფად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, საჭიროების მიხედვით ხდება საპოლიციო ძალების გადანაწილება.

საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიებისთვის, პოლიციის უფლებამოსილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღებისა და მიწოდებისთვის, საკონტაქტოდ განსაზღვრულია შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი.

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებისთვის, პოლიციის უფლებამოსილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღებისა და მიწოდებისთვის, საკონტაქტოდ გამოყოფილია შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი.

ადგილობრივი სადამკვირვებლო მისიების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის, პოლიციის უფლებამოსილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღებისა და მიწოდებისთვის განსაზღვრულია შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული და ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტები.

საკონტაქტო პირების შესახებ ინფორმაცია უკვე მიეწოდათ შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებს, სახალხო დამცველის აპარატს, საერთაშორისო და ადგილობრივ სადამკვირვებლო მისიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს. არჩევნების დღეს შინაგან საქმეთა სამინისტრო პერიოდულად მოახდენს საზოგადოების ინფორმირებას არჩევნების მიმდინარეობისას მართლწესრიგის შესაძლო დარღვევის, შესაბამისი რეაგირებისა და პოლიციის კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა საკითხებზე“, — აღნიშნულია შსს-ს განცხადებაში.

სპეციალური სიები იზოლაციაში მყოფთათვის

ცესკომ იზოლაციაში მყოფი ამომრჩევლების სპეციალური სიები დაამტკიცა. გადასატანი ყუთის მეშვეობით 31 ოქტომბრის არჩევნებში სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი 10 845 ამომრჩეველი მიიღებს მონაწილეობას.

ცესკოს განკარგულებით დამტკიცებული ამომრჩეველთა სპეციალური სიების მიხედვით თვითიზოლაციაში მყოფ ამომრჩეველთა რაოდენობა 3 695-ს, ხოლო სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და საკარანტინო სივრცეებში მყოფი ამომრჩევლების (მათ შორის სამედიცინო პერსონალი) რაოდენობა 7 150-ს შეადგენს.

რაც შეეხება სპეციალური ჯგუფების წევრებს, რომლებიც მოემსახურებიან იზოლაციაში მყოფ ამომრჩევლებს, ასევე საარჩევნო სუბიექტების, სადამკვირვებლო ორგანიზაციების და მედიის წარმომადგენლებს, რომლებიც პროცესს დააკვირდებიან და იმავდროულად მიიღებენ კენჭისყრაში მონაწილეობას, მათი რაოდენობა 1 917-ია.

აღსანიშნავია, რომ 30 ოქტომბერს თვითიზოლაციაში მყოფი ამომრჩევლები მიიღებენ ტექსტურ შეტყობინებას, იმის თაობაზე, რომ 31 ოქტომბერს ისინი არჩევნებში გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით მიიღებენ მონაწილეობას.

სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში მყოფი ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობის მიზნით შექმნილი 127 საარჩევნო სპეციალური უბანი ამომრჩევლებს 311 გადასატანი საარჩევნო ყუთით მოემსახურება.



გადასატანი საარჩევნო ყუთის მოთხოვნით ცესკოს სატელეფონო-საინფორმაციო ცენტრს 9 940-მა მოქალაქემ მომართა, რომლებიც აცხადებდნენ, რომ იმყოფებიან თვითიზოლაციაში.

განახლებული სკვერი თერჯოლაში

დავით კლდიაშვილის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის გახსნას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი მანუჩარ რობაქიძე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

სკვერი რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსებული პროექტის „ქალაქის ცენტრის კეთილმოწყობის“ ფარგლებში გაკეთდა. მოეწყო საბავშვო კუთხე, დაიდგა კომფორტული დასასვენებელი სკამები, დამონტაჟდა დეკორატიული სანათები, მოიკირწყლა ბილიკები. სკვერის ტერიტორია სხვადასხვა სახეობის მცენარით გამწვანდა. განახლებული სკვერის გარშემო ღობე და ავტოსადგომი მოეწყო.

„ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით, რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით, მოეწყო ოთხი სკვერი ქალაქის სხვადასხვა ლოკაციაზე, ასევე იმერული ჭიშკრები და ღობეები რუსთაველის ქუჩაზე, რამაც თერჯოლის იერ-სახე მნიშვნელოვნად შეცვალა და გაალამაზა. ეს ქალაქი ყველასია, ამიტომ ყველამ ერთად უნდა დავიცვათ სისუფთავე, გავუფრთხილდეთ და მოვუაროთ მას“, — აღნიშნა მანუჩარ რობაქიძემ.

კრწანისის ტყეპარკში აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს **უწყება — ველური ბუნების ეროვნული სააგენტო, კრწანისის ტყეპარკში, მტკვრის ჭალის ინფრასტრუქტურისა და მწვანე საფარის აღდგენის ღონისძიებებს ახორციელებს.** მიმდინარე სამუშაოებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი ადგილზე გაეცნო.

„ორი წლის წინ, მოსახლეობას დავპირდით, რომ კრწანისის ტყეპარკს თავის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას დავუბრუნებდით. ორ წელიწადში ჩვენ შემოვლობეთ ტერიტორია, მოვაწყეთ საჭირო ინფრასტრუქტურა და დავიწყეთ აღდგენითი სამუშაოები, რათა ეს სივრცე ვაქციოთ საინტერესო რეკრეაციულ ადგილად როგორც ჩვენი მოქალაქეებისათვის, ასევე სტუმრებისთვის. ტყეპარკი წარმოადგენს მტკვრის ჭალის ბუნებრივ ეკოსისტემას და იგი რეკრეაციული სივრცეა თბილისსა და რუსთავს შორის. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერა, ამის მაგალითია „ენერგო პროექტის“ დაფინანსებით პარკის ტერიტორიაზე მზის ბატარეების ელექტროსადგურის მშენებლობა. ასეთი მწვანე და მდგრადი, ეკოლოგიურად სწორი ენერგორესურსებით უზრუნველყოფა ტყეპარკის განვითარებაში ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია“, — განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის დაფინანსებით, ტყეპარკში 100-კილოვატიანი მზის ელექტროსადგურის მშენებლობა დასრულდა. როგორც UNDP GEF პროგრამის „მტკვარი 2“ ეროვნულმა კოორდინატორმა მაკა ჯულაყიძემ განაცხადა, მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობა კრწანისის ტყეპარკის აღდგენის პროცესში.

მზის ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია მოხმარდება სარწყავი წყლის სატუმბი სადგურის, ჭალის ტყის საირიგაციო სისტემების, არსებული 11 სათევზაო ტბორის წყალშევსებისა და საკუთრივ ტყე-პარკის გზებისა და ბილიკების განათებას. ველური ბუნების სააგენტოს მიერ მასშტაბური სამუშაოების განხორციელების შედეგად, კრწანისის ტყეპარკი რუსთავსა და თბილისს შორის მნიშვნელოვანი რეკრეაციული სივრცის ფუნქციას დაიბრუნებს. სადაც გადაადგილება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ფეხით, ველოსიპედით ან მინი ელექტროავტომობილით.

ძალოსნობის სავარჯიშო ბაზა ჩაქვში

ჩაქვში, პირველი თანამედროვე სტანდარტების ძალოსნობის ბაზა აშენდება. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, გათვალისწინებულია თანამედროვე ტიპის 3-სართულიანი ნაგებობის მშენებლობა. აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე მშენებლობის დაწყების

პროცესს დაესწრო და აღნიშნა, რომ რეგიონში სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს. ბაზის პირველი სართულის ძირითადი ნაწილი მოიცავს სავარჯიშო დარბაზს მაყურებლებისთვის განკუთვნილი ტრიბუნებით.

ბაზის შენობა და ყველა სახის ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია და შშმ პირებს, როგორც სპორტსმენებს, ასევე მაყურებლებს სრულფასოვნად შეუძლიათ, ისარგებლონ ყველა სახის მომსახურებით. მეორე სართული დაეთმობა სასადილო ზონას, მოსასვენებელ სივრცესა და ოფისებს. მესამე სართულზე პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია საკონფერენციო დარბაზი და სასტუმრო ზონა. ჩაქვის ძალოსნობის ბაზის მშენებლობა 2021 წლის დეკემბერში დასრულდება.

კერძო სახლები დევნილთათვის

დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო სოფლად სახლს კიდევ 512 დევნილი ოჯახისთვის შეისყიდის.

სააგენტოს დირექტორის ბესარიონ სიმონიშვილის განცხადებით, „სოფლად სახლის“ შესყიდვის პროექტი წარმატებით მუშაობს და მომავალში კიდევ უფრო აქტიურად გაგრძელდება.

„მნიშვნელოვანია, რომ დევნილი ოჯახები საცხოვრებლებს, საქართველოს ნებისმიერ რეგიონში, თავისი სურვილის შესაბამისად არჩევენ. სახლების უმეტესობას მიწის ნაკვეთებიც აქვს, რაც დევნილებს შემოსავლის წყაროს გაჩენაში ეხმარება“, — განაცხადა ბესარიონ სიმონიშვილმა. 2020 წელს, მხოლოდ ამ პროექტის ფარგლებში, ჯამში, 1000-ზე მეტი დევნილი ოჯახი განსახლდება.

86 მილიონი ლარი გურჯაანელებსა და საგარეჯოს წყალმომარაგებისთვის

გურჯაანის მუნიციპალიტეტის 7 და საგარეჯოს 3 სოფლის-24 საათიანი წყალმომარაგებისთვის ჯამში 86 მილიონი ლარი დაიხარჯება. ორივე მუნიციპალიტეტში პროექტებზე მუშაობა დასრულებულია. ცნობილია, რომ გურჯაანში 49, ხოლო საგარეჯოში 27 მილიონი ლარი გამოიყოფა იმისათვის, რომ სასმელი წყლის პრობლემა მოგვარდებს.

აღნიშნულ სოფლებში წყალმომარაგების გაუმჯობესების ინიციატივა გურჯაანი-სიღნაღი-დედოფლისწყარო-საგარეჯოს ოლქში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს ეკუთვნის, რომელიც წინა მოწვევის პარლამენტში მაჟორიტარი დეპუტატი იყო. დავით სონღულაშვილის განცხადებით, შესაბამის უწყებებთან კოორდინირებული მუშაობა არის იმის შედეგი, რომ მალე 10 სოფლის ათასობით ოჯახისთვის სასმელი წყლის უწყვეტი მიწოდება მოხდება. სასმელი წყლის პრობლემა აღარ აწუხებთ წნორში. წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის ფარგლებში წნორის სათავე ნაგებობა და სატუმბო სადგური მოეწყო. სიხაშვილისა და ასანურის რეზერვუარებში გაკეთდა სატუმბი დანადგარების მონტაჟი და 200 მეტრი სიღრმის ჭაბურღილები. პროექტის ფარგლებში რეზერვუარებისა და წყალსადენის ქსელის სადეზინფექციო სამუშაოებიც განხორციელდა.

შედეგად 5 ათას ბენეფიციარზე მეტი 24-საათიანი წყალმომარაგებით რამდენიმე კვირაა, სარგებლობს. პროექტის მოცულობა 13 მილიონ ლარზე მეტი იყო, რომელიც ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანებით, მუნიციპალური განვითარების ფონდმა განახორციელა. ამის პარალელურად დაწყებულია სიღნაღის მუნიციპალიტეტის 13 სოფლის 24-საათიანი სასმელი წყლით უზრონველოყოფისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურული სამუშაოები.



დავით გარეჯი ჩვენი კია, მაგრამ დემოგრაფია გვღალატობს...

ერის უბედურება კატასტროფულ დემოგრაფიულ პრობლემებში მგონია. საუბედუროდ, ფაქტებიც ამაზე ღაღადებენ.

როგორც საქსტატი გვაუწყებს, მარტო 2020 წლის პირველი ნახევრის ძირითადი დემოგრაფიული წინასწარი მონაცემების მაჩვენებელი ასეთია:

იანვარ-ივნისში ქვეყანაში დაიბადა 22 142 ბავშვი, ხოლო გარდაიცვალა 23 448 ადამიანი. ასე რომ, გარდაცვლილთა რაოდენობა ახალშობილებს 1306-ით აღემატება!..

ჩვენი უბედურება ისაა, რომ შობადობით გამორჩეულ რეგიონებში, თბილისზე არაფერი რომ არ ვთქვათ, ყოველთვის მრავალშვილიანობით ცნობილი აჭარა, იმერეთი, გურია, სამეგრელო და რაჭა-ლეჩხუმი გამოირჩევა. ასე რომ, მარტო გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით, ათასით ნაკლები ადამიანი დაიბადა. გონს მოდით, ქართველნო, მარტო ერთი პრემიერი გახარია და ბატონი ბიძინა ივანიშვილის დიდი ქართველობა ვერ უშველის რუსთაველის საქართველოს. ვერც ის, რომ ყოველი მეორე მოლექსეა, აუცილებელია, რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული დემოგრაფიული საზოგადოება აღორძინდეს, ერმა მამულიშვილობა გამოიჩინოს და ერი გამრავლდეს.

მე მივმართე თხოვნით რუსთავის დეპუტატობის შესანიშნავ კანდიდატს, გამორჩეულ ქალბატონს, ოთხი შვილის დედას ნინო ლაცაბიძეს, თავისი ღვაწლი ამ მიმართულებით წარმართოს.

გივი ჯახუა.

P.S. **რაც შეეხება დავით გარეჯის პრობლემას, ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების შუახანებში, როდესაც მე გახლდით საქართველოს მაშინდელი ერთადერთი ტელერადიოკომიტეტის ქვემო ქართლის ზონის კორესპოდენტი, დავით გარეჯზე ასვლა არცთუ იშვიათად მიხდებოდა, განსაკუთრებით გარეჯობის დღესასწაულზე, რომლის მასპინძელი ბრწყინვალე ქალბატონი, გამორჩეული ხელმძღვანელი მედიკო მეზვრიშვილი ბრძანდებოდა... და მისგან ინტერვიუც ამიღია, ასე რომ, არავითარი პრობლემა გარეჯთან დაკავშირებით არც მანამდე, არც იმ წლებში და მოაქჟამამდე არ შემხვედრია.**

დავით გარეჯი რომ ქართულია, ამაზე თვით ტაძრებიც ღაღადებენ!

გ. ჯ.

იყუჩეთ, სამშობლოს გამყიდველო სოროსელებო! გვაცალეთ არჩევნების მშვიდობიანად ჩატარება!

საგარეო ჩარევა საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში

დღეს საქართველოს საპარლამენტო არჩევნები იმართება. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომელიც ღია და გამჭვირვალე ხმის მიცემის პროცედურის განსახორციელებლად მთელი სამოქალაქო საზოგადოების მობილიზაციას მოითხოვს. უდავო ფაქტია, რომ საარჩევნო პროცესი სახელმწიფოს უაღრესად შინაგანი საქმეა. ამასთან, არსებობენ გარე ძალები, რომლებიც გამოხატავენ ხალას ინტერესს ამ მოვლენისადმი და ცდილობენ საკუთარი „თამაშის წესების“ დადგენას. ამაში განსაკუთრებით წარმატებულია ამერიკელი მილიარდერის ჯორჯ სოროსის სტრუქტურები (ფონდები).

სოროსის ფონდი „ღია საზოგადოება“ საქართველოში 1994 წლიდან ფუნქციონირებს და იმ დროიდან ქვეყანაში 100 მილიონ დოლარზე მეტი ინვესტიცია განახორციელა. მისი ოფისი თბილისში მდებარეობს და დაახლოებით 50 თანამშრომელს ითვლის, რომლებიც „დაუღალავად შრომობენ ქართული დემოკრატიის კეთილდღეობისთვის“.

გაითვალისწინეთ, რომ სოროსმა საკუთარი ქონება მოიპოვა ფინანსური სპეკულაციებით საფონდო ბირჟაზე და 80-იანი წლების ბოლოს ის უკვე ერთობ შეძლებული კაცი იყო: მან გამოიმუშავა დაახლოებით 100 მილიონი დოლარი. მომავალში სოროსმა მხოლოდ გაზარდა თავისი მატერიალური კეთილდღეობა ოფშორული გარიგებების საშუალებით, რომლებიც ძირითადად აღმოსავლეთ ევროპაში ხორციელდებოდა. ახლა ის ეწევა „ქველმოქმედებას“ და აქტიურად აფინანსებს თავისი ფონდებიდან მსოფლიოს 30-ზე მეტ ქვეყანაში სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას. მან ყურადღება მიაქცია საქართველოსაც.

ორგანიზაციის ვებგვერდზე წარმოდგენილი მონაცემების თანახმად, 2019 წელს „ღია საზოგადოება საქართველო“ ფონდმა 93 გრანტი გასცა საერთო თანხით 1,8 მილიონი დოლარი. მათგან 57 გრანტი მთლიანად პოლიტიკურად ორიენტირებულია და მოიცავს მთავრობისა და ადგილობრივი მოხელეების საქმიანობის მონიტორინგს, კორუფციის შემთხვევების იდენტიფიცირებას, მედიის დაფინანსებას და პროევროპული აგიტაციის ამომრჩევლებს შორის განხორციელებას. ყველა დაფინანსებული პროექტისგან ამ პოლიტიზირებული გრანტების საერთო ოდენობა შეადგენს 68%-ს — 1,2 მილიონ დოლარზე მეტს. ამავე დროს, ფონდის სახსრების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი მიმართული იყო მოსახლეობის სოციალური და საგანმანათლებლო დახმარებისათვის.

ამასთან, წლიური ანგარიშების ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ „ღია საზოგადოების“ ფონდის საქართველოს ფილიალის 2019 წელს ბიუჯეტმა შეადგინა 4,7 მილიონი დოლარი. ეს ფაქტი მიუთითებს, რომ არამიზნობრივი ხარჯები დაახლოებით 2,8 მილიონი დოლარია (ბიუჯეტის 60%). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბიუჯეტის ნაწილი ფონდის თანამშრომლების ხელფასების დაფარვის გარდა, გამოყენებული იყო ფორუმების, სემინარებისა და სხვადასხვა ინვესტიციების საბაბით მოხდა. **ჯორჯ სოროსთან დაკავშირებული ანალიტიკური ცენტრებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელების, რა თქმა უნდა, გ. კობერიძე, ე. ციმაკურიძე, შ. ჩხეიძე, შ. უტიაშვილი მონაწილეობით ახალგაზრდები ქუჩის პროტესტის მთავარი მამოძრავებელი ძალა გახდა. 2019 წლის შემოდგომაზე საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალგაზრდულმა მოძრაობებმა „სირცხვილია“, „გაბედე“, „შეცვალე“-მ გააძლიერეს ბრძოლა საქართველოს ევნელს კრის სოჩას, რომელმაც განაცხადა, რომ „ოპოზიციის ხმები საქართველოს დემოკრატიის გრძელვადიანი წარმატების მისაღწევად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ“ და აღუთქვა ყოვლისმომცველი დახმარება.**

ჯორჯ სოროსის მიერ ქართული ოპოზიციის და პროტესტის სპონსორობამ გამოიწვია ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების დესტაბილიზაცია, რაც საქართველოს აზერბაიჯანთან, რუსეთთან და თურქეთთან სავაჭრო და ეკონომიკურ კავშირებზე უარყოფითად აისახა. ამან თავის მხრივ გამოიწვია საქართველოში ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც 2020 წელს არა მხოლოდ გაგრძელდნენ, არამედ პანდემიის ფონზე ფაქტობრივად ქვეყნის ეკონომიკური ბლოკადის პროვოცირებას ახდენენ. 2019 წელს ამერიკელი მილიარდერის ინიციატივით სააკაშვილისა და ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის პოლიტიკურმა აქტიურობამ და პროკურორ ფატუ ბენსუდას მეშვეობით სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) საქმიანობაზე ზეწოლამ, უდავოდ შეუწყო ხელი საქართველოს ეკონომიკის შესუსტებას.



ქართული სპეცსამსახურების ინფორმაციით, 2011 წელს ბენსუდამ მიიღო თანამდებობა სოროსის წყალობით. ცნობილია ისიც, რომ 2010 წელს შეერთებულ შტატებში სოროსის მხარდაჭერით მისი ამერიკის სამართალდამცავ ორგანოებში კონტაქტების საშუალებით ბენსუდას შვილის ჯორჯის საქმე მიფუჩეჩდა, თუმცა მას ბრალი ედებოდა ცეცხლსასროლი იარაღისა და ნარკოტიკების შენახვაში. გარდა ამისა, 2015 წლის ოქტომბერს **შსს**-ის პროკურორმა საქართველოში მისი ვიზიტის ფარგლებში მიიღო ანაზღაურება 300 000 დოლარზე მეტი ოდენობით „ღია საზოგადოების“ ფონდის საქართველოს ფილიალის დირექტორის ხუციშვილის მეშვეობით.

საპროტესტო მოძრაობებში ახალგაზრდების ჩაბმა მის განვითარებაში შეხვედრების ჩასატარებლად.

მაგალითად, 2018-2019 წლებში ორგანიზაციაში დაახლოებით 30 თანამშრომელი მუშაობდა. 2019 წელს საქართველოში უცხოური კომპანიების თანამშრომლების საშუალო ხელფასმა შეადგინა 1,600 ლარი თვეში (500 დოლარი). მაშინაც კი, თუ ვივარაუდებთ, რომ „ღია საზოგადოება საქართველო“ ფონდის თანამშრომლების საშუალო თვიური ანაზღაურებაა 1000 დოლარი, მაშინ წლიური შრომითი ანაზღაურება 360 000 დოლარია, რაც ფონდის ბიუჯეტის 8% -ზე ნაკლებია. ეს ბადებს კითხვას: რაში დაიხარჯა „ღია საზოგადოების“ ბიუჯეტის თითქმის ნახევარი?

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წყაროს ცნობით, 2019 წლის ზაფხულში ქართული ოპოზიციის ლიდერებმა საპროტესტო აქციების ორგანიზებისთვის უზარმაზარი თანხები მიიღო. მათ შორის არიან სოროსის ძველი პარტნიორები დ. უსუფაშვილი, ა. ელისაშვილი და მ. ხაზარაძე და სოროსის მიერ დაფინანსებული ოპოზიციური სტრუქტურები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ევროპული საქართველო“ და საზოგადოებრივი მოძრაობა „ლელო საქართველოსთვის“. საპროტესტო აქციების ინფორმაციული მხარდაჭერა განხორციელდა „Transparency 6nternational Georgia“-სა და „რადიო თავისუფლების“ მეშვეობით.

როპული მომავლისთვის და ქვეყნის ხელისუფლების წინააღმდეგ. დემოკრატიული ღირებულებების ურყევი და მოუსყიდველი დამცველების ნიღაბქვეშ მათი წარმომადგენლები გვპირდებიან, რომ მთელი ძალით საქართველოს პროდასავლურ პოლიტიკურ ვექტორს დაიცავენ.

დასავლელი პარტნიორები აქტიურად უჭერენ მხარს მიტინგებსა და პიკეტებს „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ. სოციალურ ქსელებში „სირცხვილია“, „გაბედე“, „შეცვალეს“ გვერდები ევროპელი და ამერიკელი პოლიტიკოსების ინტერვიუებს შეიცავს, სადაც ისინი თანამშრომლობის სურვილს გამოხატავენ. ვირტუალურ სივრცეში აქტიურობის გარდა, ოპოზიციის წარმომადგენლები ასევე დასავლეთ „უფროს ამხანაგებთან“ ურთიერთქმედებენ რეალურ სამყაროში. მაგალითად, 2020 წლის 18 თებერვალს „სირცხვილიას“! წარმომადგენელი შოთა დიღმელაშვილი ბრიუსელში იმყოფებოდა, სადაც მან „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ორგანიზაციის წარმომადგენლებთან და ევროკავშირის სხვა პოლიტიკოსებთან ქუჩის საპროტესტო აქციების საკითხი განიხილა და მათში ევროპელ კოლეგებს ყველა საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაციის მონაწილეობის გარანტიები მისცა. ორი დღის შემდეგ ქართული ოპოზიციის ლიდერები შეხვდნენ აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის აპარატის ხელმძღვა-

ჯორჯ სოროსი მიერ ქართული ოპოზიციის და პროტესტის სპონსორობამ გამოიწვია ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების დესტაბილიზაცია, რაც საქართველოს აზერბაიჯანთან, რუსეთთან და თურქეთთან სავაჭრო და ეკონომიკურ კავშირებზე უარ-

რვაფეხას მსგავსად, ჯორჯ სოროსმა თავისი „საცეცები“ მოსდო საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროს. ის მთავრობაზე ზეწოლას ახდენს, გავლენის აგენტებს აფინანსებს და ქუჩის საპროტესტო აქციებს აქტიურად პროვოცირებს. ბუნებრივია, რომ ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენის ჩატარება, როგორიცაა საპარლამენტო არჩევნები, მისი მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია. მაგრამ საჭიროა თუ არა ეს საქართველოსთვის? გულწრფელად რომ ვთქვათ, სოროსის ყურადღება პოლიტიკურ პროცესებზე არაფერ კარგს არ მოასწავებს. იმ ქვეყნებში, სადაც სოროსი საშინაო პოლიტიკაში აქტიურად ერეოდა, სიტუაცია მკვეთრად გაუარესდა.

დღეს საქართველოში თუ მსგავსი სცენარი განვითარდება, ქვეყნის პოლიტიკურად აქტიური მოქალაქეების ამოცანაა, მის განხორციელებას სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიოს.

ზაზა კობიაშვილი

„ანტიკური კავკასია“

წიგნის წარდგინება მეცნიერებათა აკადემიაში

ამ დღეებში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმთან მოქმედმა **შავი და ხმელთაშუა ზღვების რეგიონის ცივილიზაციათა შემსწავლელმა კომისიამ ენციკლოპედიის „ანტიკური კავკასიის“ („CAUCASUS ANTICUUS“) მორიგი ტომის წარდგინება გამართა**.



გვესაუბრება **საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმთან მოქმედი შავი და ხმელთაშუა ზღვების რეგიონის ცივილიზაციათა შემსწავლელი კომისიის** აღმასრულებელი მდივანი, საქართველოს ბაზანტინოლოგთა ეროვნული კავშირის თავმჯდომარე, ისტორიის აკადემიური დოქტორი **ერეკლე ჟორდანია**:

„ენციკლოპედია „ანტიკური კავკასია“ („Caucasus Anticuus“) უაღრესად დიდი სამეცნიერო, საგანმანათლებლო და კულტურული მნიშვნელობის მქონე, შეიძლება ითქვას, უნიკალური ხასიათის გამოცემა გახლავთ. იგი **აკადემიკოს რისმაგ გორდეზიანის** სამეცნიერო ხელმძღვანელობითა და რედაქციით ხორციელდება.

ენციკლოპედიის პირველი ტომი 2010 წელს გამოიცა. მასში თავმოყრილია ის ძველაღმოსავლური და ანტიკური წერილობითი ძეგლები, რომლებშიც მრავლადაა ცნობები უძველესი დროისა და ანტიკური ხანის კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს შესახებ. 2014 წლიდან კი ამ წერილობით ძეგლებში გამოყენებული ეთნონიმების, ტოპონიმებისა თუ სხვა სახის ტერმინებისა და ამ წყაროებში მოხსენიებული პერსონალიების შესახებ შედგენილი ენციკლოპედიური ხასიათის სტატიების შემცველი მომდევნო ტომების გამოცემა დაიწყო.

ენციკლოპედიაში წარმოდგენილი მასალა თანამედროვე ჰუმანიტარული მეცნიერების უკანასკნელი მიღწევების გათვალისწინებით არის შეკრებილი და მას თან ერთვის ჩინებულად გამართული, მაღალი დონის სამეცნიერო აპარატი. ამასთანავე, ფინალურ ტომში განსაზღვრულია შესაბამისი რუკებისა და საილუსტრაციო მასალის განთავსება.

ყოველივე ეს კი საშუალებას გვაძლევს, უფრო ღრმად და სრულყოფილად შევისწავლოთ ჩვენი ქვეყნის წარსული.

სწორედ ამ **დარგობრივი ენციკლოპედიის** მორიგი, IV ტომის ბეჭდური ვერსიის წარდგინება გამართა Online რეჟიმში **საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმთან მოქმედმა შავი და ხმელთაშუა ზღვების რეგიონის ცივილიზაციათა შემსწავლელმა კომისიამ** 2020 წლის 12 ოქტომბერს.

თავის გამოსვლაში **აკადემიკოსმა რისმაგ გორდეზიანმა** ისაუბრა წარმოდგენილი **ენციკლოპედიის** გამოცემის თანამედროვე მდგომარეობაზე, მის სამეცნიერო და საგანმანათლებლო მნიშვნელობაზე და ხაზგასმით აღნიშნა **„ანტიკური კავკასიის“** ევროპულ ენებზე თარგმნის აუცილებლობა.

შემდეგ აზრი გამოთქვეს: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **როინ მეტრეველმა,** აკადემიკოსებმა — **ელგუჯა ხინთიბიძემ, ინესა მერაბიშვილმა, რამაზ შენგელიამ,** პროფესორებმა — **ნანა ტონიამ, ვალერი ასათიანმა** და სხვებმა.

გამომსვლელებმა ერთხმად აღნიშნეს გამოცემის უაღრესად დიდი როგორც სამეცნიერო, ასევე კულტურული მნიშვნელობა და მადლობა გადაუხადეს ავტორთა მთელ კოლექტივსა და ბატონ რისმაგ გორდეზიანს გაწეული შრომისათვის“.

— რას გვეტყვით კომისიის შესახებ?

— საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმთან მოქმედი **შავი და ხმელთაშუა ზღვების რეგიონის ცივილიზაციათა შემსწავლელი კომისია** აკადემიის პრეზიდიუმის 2020 წლის 21 თებერვლის №9 დადგენილებით დაფუძნდა. კომისიის შემადგენლობაში ჩვენი ქვეყნის ღვაწლმოსილი მეცნიერები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ცენტრების, მუზეუმების, ბიბლიოთეკების, კერძო და საჯარო იურიდიული პირების, სახელმწიფო დაწესებულებებისა და საეკლესიო სტრუქტურების წარმომადგენლები შედიან. კომისიის თავმჯდომარე **აკადემიკოსი რისმაგ გორდეზიანი** გახლავთ, მისი მოადგილე კი **პროფესორი ვალერი ასათიანი**.

— რას გვეტყვით კომისიის ძირითად მიზნებზე, ამოცანებსა და სამომავლო გეგმებზე?

— კომისის ძირითადი მიზანია, ხელი შეუწყოს შავი და ხმელთაშუა ზღვების რეგიონში ცივილიზაციათა ურთიერთქმედებისა და მათი ურთიერთზეგავლენის შედეგად ჩამოყალიბებული მრავალეთნიკური საზოგადოებების კომპლექსურ კვლევებს, **განსაზღვროს** ამ რეგიონში მცხოვრები ხალხებისა თუ აქ არსებული ქვეყნებისა და სახელმწიფოების ცივილიზაციური თუ სოციალურ-კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების თავისებურებანი.

ეს კი ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების მიღწევების წარმოჩენასთან ერთად ხელს შეუწყობს თავად საქართველოს პოპულარიზაციას, საშუალებას მოგვცემს, რომ ფართო აუდიტორიას მიუკერძოებელი სამეცნიერო ინფორმაცია მივაწოდოთ საქართველოსა და, ზოგადად, შავი და ხმელთაშუა ზღვების რეგიონში როგორც წარსულში, ასევე დღეს მიმდინარე ეთნო-კულტურული, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების შესახებ.

ამის მიღწევა კი მხოლოდ სხვადასხვა დარგის სპეციალისტების ერთობლივი ძალისხმევითაა შესაძლებელი, რაც საქართველოსა თუ ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებულ საერთაშორისო თუ რეგიონული ხასიათის სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან, კულტურულ და სამეცნიერო ასოციაციებთან, ფონდებთან, გაერთიანებებთან, კავშირებთან, კერძო, საზოგადოებრივ და სახელმწიფო სტრუქტურებთან, შესაბამის ფინანსურ ინსტიტუტებთან კავშირების დამყარებასა და მათთან ერთად ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი, საგანმანათლებლო, შემეცნებითი და საგამომცემლო პროექტების შემუშავებას, მათ კოორდინირებას და განხორციელებას გულისხმობს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრესსამსახური

◎ სულს დაჩენილი წლები

ვახტანგ კობაიძე და მისი თანამგზავრები

„ერთხელ როცა გარდავიცვალე...“

ერთიანად არია კორონავირუსმა სამყაროს ცხოვრების ჩვეული დინება, ბევრი დასახული მიზნის განხორციელებაზე გვათქმევინა უარი. სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ ჩემი ძვირფასი უნივერსიტეტელი მეგობრის ვახტანგ კობაიძის წიგნის შესახებ ლაპარაკი საჯარო წარდგენის გარეშე მიწევს, რომელიც ჯერ კიდევ გაზაფხულზე დედაუნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე უნდა შემდგარიყო, მაგრამ ნაწილობრივ ავტობიოგრაფიული, ნაწილობრივ მოგონებათა „ერთხელ როცა გარდავიცვალეს“... პრეზენტაცია სწორედ კოვიდ-19-მა „ჩაშალა“.

კიდევ ერთი უაღრესად გულდასაწყვეტი გარემოება ის გახლავთ, რომ ვახტანგი, ანუ როგორც მას მეგობრები ვეძახით და თითქმის მთელი თბილისი იცნობს, **კოკოშა,** ბოლო დროს ავადმყოფობის გამო სახლიდან ვერ გამოდის, ამდენად, ამ უდიდესი სიყვარულითა და სითბოთი დაწერილი წიგნის გაცნობა, პანდემიით გამოწვეულ ნებაყოფლობით თუ იძულებით საკარანტინო ვითარებაში, ყველა ახლობელ-ნაცნობისთვის ერთგვარად მონატრებული, საოცრად გულწრფელი საუბარი იქნება გარდასულ წლებზე.

„ცხოვრების გზაზე არც მწვერვალთა გრილი სიო დამკლებია და არც ჭაობის ლაფი, ისიც კარგად ვიცი, რომ ჩემს შემდეგაც მრავალი ფეხსაცმლის ლანჩა გაცვდება ამ დაუსრულებელ სავალში და ამ ნაწერების ადრესატებიც სწორედ ისინი არიან. თაობა, ვინც გასასვლელის თავში დგას და წინ ბევრი მწვერვალ-ჭაობი ელოდება. სურვილი ერთია — გაგაცნოთ ის საოცარი ადამიანები, რომელთაც ამ გზებზე ხეტიალში დავემგზავრე, ერთნი მეგობრებად ვიგულე, მეორენი — ცხოვრების დამრიგებლებად; ისეთებიც იყვნენ, გვერდი რომ ამიარეს და საკუთარ ლელეღრანტეებში თავაწეულად სიარული ამჯობინეს...“, — ამბობს ავტორი შესავალ სიტყვაში.

და კიდევ ერთი: წიგნის წინასიტყვაობაში „შტრიხები ავტოპორტრეტისთვის“, ჩვენი კოლეგა და მეგობარი, ცნობილი ჟურნალისტი **თეიმურაზ ქორიძე** აღნიშნავს, რომ **„იმ ადამიანების დიდი უმრავლესობა, ვისი პორტრეტების შტრიხებსაც ავტორი ამ წიგნში გვთავაზობს, კინოსა და სცენის მოყვარულებისთვის კარგად ცნობილია. ავტორმა ეს შესანიშნავად იცის და, ალბათ, ამის გამო, ბევრს არაფერს ამბობს მათ პროფესიონალიზმზე, მათ დამსახურებაზე ქართული კინოსა თუ თეატრის, ზოგადად, ქართული ხელოვნების წინაშე, ცდილობს მათი ცხოვრების, მათი უმძიმესი შრომის მსმენელისა და მაყურებლისთვის უხილავი მხარე დაგვანახოს...“**

წიგნის ორიგინალური გზამკვლევია ბატონ **არმაზ სანებლიძის** ნამცვრევი „მარტვილი“, რომელიც კიდევ ერთხელ განმარტავს კოკოშას უშურველ მზადყოფნას საზოგადო საქმისთვის, ჟურნალისტის პროფესიის ერთგულებისთვის, თუნდაც ამას ნამდვილ სიკვდილამდე „გარდაცვალება“ დასჭირდეს...

თავდაპირველად ვახტანგ კობაიძე თავისი გვარის წარმომავლობის, წინაპრების, ოჯახისა და გარემოცვის შესახებ უამბობს მკითხველს, თავისი თიკუნის — კოკოშას — გაჩენის სახალისო ამბავსაც ჰყვება, რასაც მისი პირველი ჟურნალისტური გამოძიების ისტორიით განაგრძობს, შემდეგ, ბავშვობისა და სიყმაწვილის მეგობრებს, ჩვენი თაობისთვის საყვარელ ადამიანებს, ზეციური საქართველოს მკვიდრ — გია ფერაძეს, ჯემალ თოფურიძეს, ავთო შარვაძეს, კოლია ქაშაკაშვილს, მედიკო მებურიშვილს იხსენებს, ცოცხლებს — თათუზ ყურაშვილს, გაიოზ კანდელაკს, ილო ფერაძეს, სხვებს ეფერება.

მერე და მერე კი ჩვენი კოკოშა უფროსი თაობის სახელოვან ხალხსა და მათთან დაკავშირებულ ისტორიებს გვიამბობს. დარწმუნებული ვარ: მისი წერილების გმირების გვარ-სახელების უბრალო ჩამოთვლაც ყოველგვარი რეგალიების გარეშე, ყველას დიდ სიამოვნებას მოჰგვრის და მამულიშვილური სიამაყის გრძნობას კიდევ ერთხელ გაუღვივებს. ესენი ბრძანდებიან ვერიკო ანჯაფარიძე და დოდო აბაშიძე, გოგი გელოვანი და თენგიზ არჩვაძე, რობერტ სტურუა და იაკობ ტრიპოლსკი, რამაზ ჩხიკვაძე და გურამ ფირცხალავა, ლეილა ყიფიანი და ზაზა პაპუაშვილი, მრავალი სხვა.



მათთვის, ვინც მეგობრობდა იმდროინდელი თბილისური საზოგადოების გამორჩეულ წარმომადგენლებთან, ანდა, უბრალოდ, კარგად ახსოვს ისინი, უდავოდ სასიხარულო იქნება მათთან დაკავშირებული აქამდე არცთუ გახმაურებული ამბების გაგება, ისინი კი, ვინც ამ ხალხს მხოლოდ მათი შემოქმედებით იცნობენ, ვფიქრობ, კიდევ უფრო მეტი პატივისცემით განიმსჭვალებიან მათდამი.

მე კი, ჩემ მხრივ, მადლობას მოგახსენებ, ჩემო კოკოშ, ამ შესანიშნავი, მართალი წიგნისთვის, რომელმაც ახალგაზრდობის დაუვიწყარი ხანა გამახსენა!

ოთარ ტურაბელიძე

ცოდვის ტრიალი

(პირველი გვერდიდან)

სიცრუე რომ გაბატონდება საზოგადოებაში, სახელმწიფოში თუ ქვეყნიერებაზე, ეს არის სწორედ „ცოდვის ტრიალი“, რადგან დიდი რუსთველის თქმისა არ იყოს, „სიცრუე და ორპირობა ავნებს სულსა, მერმედ ხორცსა“. ამ სიცრუემ (გაბატონებულმა!) კაცობრიობის სულს დიდი ხანია ავნო, რაც მხოლოდ ღვთისგან რჩეულმა ადამიანებმა დაინახეს, მაგალითად, ოსვალდ შპენგლერმა, რომელმაც ზუსტად ასი წლის წინათ გამოაქვეყნა ნაშრომი „ევროპის მზის ჩასვენება“ („ევროპის დაისი“). ხორცის ვნება გვიან დაიწყო, რაც დღემდე ვერ გააცნობიერეს ვერც ხელისუფლებებმა და ვერც ხალხის დიდმა უმრავლესობამ.

სხვებს თავი რომ დავანებოთ, რაც დღეს ქართულ საზოგადოებაში ტყუილი ითქმის და სიცრუე იღვრება, მისი აღრიცხვა შეუძლებელია. ცრუობს ყველა, ცრუობენ ექიმები და ვექილები, პედაგოგები (ყველა რანგისა) და ბიზნესმენები, სამხედროები და მეცნიერები, დიდები და პატარები, ხოლო პოლიტიკური პარტიებისა და მათი ლიდერების მატყუარობა, ყოველგვარ დღემდე არსებულ ზღვარსა და სამანს კარგა ხანია გადასცდა. სინდის-ნამუსისა და ღირსების ცნებები აქ უკვე სახსენებელიც აღარ არის!

იტყვიან ხოლმე, იმ კაცმა უწყინარი ტყუილი თქვაო. არა, ბატონებო, უწყინარი და მაწყინარი ტყუილი არ არსებობს, რადგან „თავია სიცრუე ყოვლისა უბადობისა“ (რუსთველი).

სამწუხაროდ, ჩვენთვის (სხვისი არ ვიცი!) სიცრუე დიდი ხანია რაღაც დამახასიათებელ ნიშნად არის ქცეული. ტყუილად არ შეიქმნებოდა ისეთი ანდაზები, სადაც მართლის მთქმელი და მქნელი სამწუხარო გამონაკლისად არის მიჩნეული: „მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო“, „მართლის მთქმელი მოკლესო“, „მიჰყე, მიჰყე სიმართლესა, გამოგილევს სინათლესა“-ო და ა, ბატონო, რა პატივში ყოფილან ჩვენში მართლის მთქმელები და მიმდევრები!.

წინათ მართალს ყველა თუ არ ამბობდა, უმრავლესობა არ ცრუობდა მაინც, რადგან ქრისტიანული ერი ვიყავით, ქრისტეს მცნებების დარღვევა დიდ ცოდვად მიგვაჩნდა. „არ იცრუო!“ ერთ-ერთი ფუნდამენტური მცნებაა, მისი დარღვევა კი უპატიებელი ცოდვა. ასე ფიქრობდა ღვთისმორწმუნე ხალხი და ქვეყანას ზნეობრივ საყრდენებს უმაგრებდა. ახლა ჭეშმარიტად ღვთისმორწმუნე ადამიანი სანთლით საძებარია, ხოლო რელიგიურ დღესასწაულებზე ვითომ მრევლის მიერ გადავსებული ტაძრები და მონასტრები თითოეული იქ მყოფის რწმენაზე კი არ მეტყველებს, არამედ საზოგადოებაში დამკვიდრებულ ტოტალურ სიცრუეზე: „აი, ნახეთ, სანთელს ვანთებ, მაშასადამე მორწმუნე ვარ!“ ისევე, როგორც ეკლესიათა მშენებლობის ბუმი ლოზუნგით: „ყველა უბანსა თუ დიდ ეზოში – ეკლესია!“ ასე რომ არ იყოს, რაღაც ზნეობრივი გაჯანსაღების ნიშნები მაინც გამოჩნდებოდა და ისე არ გალაღდებოდა სადიზმი და სისასტიკე, უღმერთობა და სოდომური ცოდვები, რამაც თითქმის ყველა თაობა მოიცვა, ჩვენშიც და სხვაგანაც, განსაკუთრებით დაწინაურებულ, მდიდარ, ძლიერ და „მისაბაძ“ ქვეყნებში. დანაშაულებათა სტატისტიკა ხშირად ისეთი უაზრო სისასტიკით ჩადენილ დანაშაულის ფაქტებს წარმოაჩენს ხოლმე, რომლის მსგავსი მანამდე ცნობილი არ იყო კრიმინალისტიკაში.

უზარმაზარი პერიოდები დასჭირდა კაცობრიობას, რომ გარე სამყაროს შემეცნების პროცესში მოპოვებული ცოდნის საფუძველზე ზნეობრივ შეგნებამდე მისულიყო. ზნეობა კი ადამიანში ადამიანურობის არსებითი ნიშანია. შემეცნება თუ ჭეშმარიტების ძიებაა (და ეს ასეა!), მაშინ ზნეობა, ცხადია, ჭეშმარიტებას, ანუ სიმართლეს ეფუძნება; სიმართლეზე ხელის აღება ზნეობრიობაზე ხელის აღებაა, რაც ცნობიერების დეფორმაციას იწვევს. რატომ? იმიტომ, რომ ზნეობა, კლასიკური თუ თანამედროვე გაგებით, არის სიკეთის ქმნა, დაცვა და დამკვიდრება. მასზე უარის თქმა სიკეთის უარყოფაცაა და თუ სიკეთეს უარყოფ, მაშინ შენს ცნობიერებაში მის ადგილს სიცრუეზე დაფუძნებული ბოროტება დაიკავებს. „სიკეთე“ და „ბოროტება“ შემფასებლური ცნებებია და მათ გარეშე ადამიანი ვერ იარსებებს. სწორედ ამიტომ ზნეობაზე ხელაღებულმა ხალხის დიდმა ნაწილმა სიკეთეზეც აიღო ხელი და ბოროტებას, ანუ სიცრუეს შეუდგა: ავი კარგად მიიჩნია („ვაი, რა კარგი, საჩინო, რა ცუდად მიგიჩნიესო...“). ადამიანური ცნობიერების დეფორმაციაზე ერთი საყოველთაოდ ცნობილი, ერთობ თვალსაჩინო მოვლენაც მეტყველებს:

ყველამ იცის, რა პოპულარულია მოზარდებში (და არა მარტო მოზარდებში, ზრდასრულებსა და „გადამწიფებულებშიც“) დახეულ-დაგლეჯილი ჯინსის შარვლები. მოზარდები ტირილით ეხვეწებიან მშობლებს: მთელი ახალი ჯინსები არ გვინდა, დაგლეჯილ-დაფლეთილი გვირჩევნიაო. ზრდასრულები და „გადამწიფებულები“ არ ტირიან, ბაზრობაზე მიდიან და ახალსა და მთელზე 5-ჯერ უფრო ძვირად ყიდულობენ დაგლეჯილ შარვლებს და სიხარულით ბრუნდებიან შინ, რათა მეორე დღეს თავი მოიწონონ საზოგადოებაში ან ტელეეკრანზე ათასობით მაყურებლის თვალწინ, ნახეთ რა თანამედროვე ვარო!



რა გამოდის? პასუხი მარტივია: „თანამედროვისათვის“ დახეული და დაგლეჯილი სჯობია მთელსა და უნაკლოს! ეს იგივეა, სახურავჩანგრეული სახლი რომ ამჯობინო უჟანგავი თუნუქით გადახურულ სახლს.

მთელი და უნაკლო შარვალი უფრო სრულყოფილად ასრულებს თავის ფუნქციურ დანიშნულებას, ვიდრე დახეულ-დაგლეჯილი! ანუ მთელი კარგია, დახეულ-დაგლეჯილი ცუდი! ამ ფაქტთან მიმართებაში სხვა აზრი საღი გონებისა და ფსიქიკის ადამიანს ვერ ექნება! მაშ, რა სჭირთ იმათ, რომლებსაც საწინააღმდეგო აზრი აქვთ? ცნობიერების დეფორმაცია საჭიროა, ცნობიერების დეფორმაცია! მათ ცნობიერებაში ღირებულებათა დევალვაცია მოხდა: „ცუდი“ მიიჩნიეს „კარგად“! ამ შემთხვევაში „ცუდი“ მართლა კი არ იქცა „კარგად“, არამედ დამახინჯებულ ცნობიერებაში შეფასების კრიტერიუმები გადაადგილდა და რადგან „კარგმა“ პოზიტიური შეფასებითი შინაარსი დაკარგა, მისი სრული დევალვაცია მოხდა, მახინჯმა ცნობიერებამ „კარგის“ საპირისპირო ღირებულების საგანი „ცუდი“ აირჩია! ცუდის დევალვაცია შეუძლებელია, ისევე, როგორც შეუძლებელია ნულის რაიმე რიცხვზე გამრავლება ან გაყოფა.

არც ერთი ცხოველი არ იქცევა თავისი ბუნების შეუსაბამოდ, როგორ პირობებშიც უნდა მოექცეს იგი: მგელი შიმშილით მოკვდება და ირემივით ბალახს არ მოძოვს, ასევე მოკვდება ირემი და ხორცს პირს არ დააკარებს. ადამიანი, რახან შემეცნების უნარი უბოძა ღმერთმა, მგელივითაც მოიქცევა და ლომივითაც, უფრო კი ვირივითაც, თუ დასჭირდა, რა თქმა უნდა. და რომ იგი მუდამ ადამიანურად მოიქცეს, ამისათვის არსებობს მისთვის ზნეობრივი და სამართლებრივი კანონები, ტრადიციები და ადათ-წესები, რაც მხოლოდ აკრძალვებია. ახლა ნეოლიბერალებს რომ ჰკითხო, აკრძალვები პიროვნების თავისუფლებას ზღუდავსო და უნდა დავსაჯოთ ყველა, ვინც ბავშვებს (და დიდებსაც!) რაიმეს უკრძალავსო. ეს არის სატანისტური იდეოლოგია, რაც ღუპავს კაცობრიობას, თუ ამ უკანასკნელმა თვითონვე არ დაღუპა ნეოლიბერალიზმი.

ეს მოვლენა მარტო ჯინსის შარვლებისადმი საზოგადოების დიდი ნაწილის დამოკიდებულებაში რომ ვლინდებოდეს, კარგის ნიშანი არც მაშინ იქნებოდა, მაგრამ დიდ უბედურებასთან ჯერ კიდევ არ გვექნებოდა საქმე, თუმცა, სამწუხაროდ, დევალვაცია საყოველთაო მოვლენად იქცა. იგი გაბატონდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, რა თქმა უნდა, „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“-ს პირდაპირი თუ ირიბი მხარდაჭერით, წახალისებითა და გაბატონებული პოლიტიკური დოქტრინების ხალხისათვის თავსმოხვევის მდიდარი არსენალის გამოყენებით.

ეს რომ ასეა, ამაზე ნათლად მეტყველებს დღევანდელი „მოწინავე“ ქვეყნების ნეოლიბერალური „იდეოლოგია“ და ე.წ. „ადამიანის უფლებების“ დაცვის სისტემები. რომ არა კოლოსალური ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერა, ელგებეტე (ლგბტ) მახინჯი ორგანიზაციები ვერ მოახერხებდნენ მთელი რიგი ქვეყნების მოსახლეობის უმრავლესობის დატერორებას. საქმე იქით მიდის, რომ მალე ჰომოსექსუალები (ანუ პედერასტები!), ლესბოსელები, ბისექსუალები და ძმანი და დანი მათნი, თავიანთ თავს ნორმალურად, ხოლო ჰეტეროსექსუალებს არანორმალურებად აღიარებინებენ საზოგადოებებს. განა ამის ნიშანი არ არის ის, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ მამათმავლობა დაავადებათა სიიდან ამოშალა და სიყვარული სნეულებად გამოაცხადა! ახლა ევროპისა და სხვა კონტინენტების განვითარებულ ქვეყნებში მამათმავლობა პიროვნების სექსუალურ ორიენტაციად ითვლება, რასაც ყველა გაგებით უნდა მოეკიდოს და პატივი სცეს. აი, ავი უკვე გამოაცხადეს კარგად! თუ ჩვენ არ გავმეცადინდით, მალე კარგს ავად გამოაცხადებენ და კაცობრიობაც წერტილს დაუსვამს თავის ისტორიას...

როდესაც გაიძულებენ, რომ აღიარო, კაცის კაცთან ქორწინება კარგიაო, ეს განა სიმართლეზე სიცრუის, ზნეობაზე უზნეობის გამარჯვება არ არის? მეტიც! ეს არის უპატიებელი სოდომური ცოდვის კარგ მისაღებ საქციელად ტრანსფორმირების ცდა. დავიწყებულია დიდი რუსთველის შეგონება: „ავსა კარგად ვერვინ შეცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშობს“! ჰო, და სიცრუე, ყოველი უგედურების თავი და თავი, გალაღდა, ამიტომაც ტრიალებს ცოდვის დოლაბი ჩვენს თავზე. ცოდვა დაუსჯელი არ რჩება. კორონავირუსის ავი აქტივობის საკაცობრიო რეზონანსი იმ სასჯელის უწყინარი გამოვლინებაა, რაც კაცობრიობას და კერძოდ, ჩვენ, ქართველებს გველოდება. გაგიკვირდათ? ქართული ტელევიზიებისა და პრესის 90%-ზე მეტი სიცრუესა და სატანისტურ აზრებს რომ ქადაგებს და საზოგადოება ეგუება და მცირე გამონაკლისის გარდა, ითმენს ამას, განა უზნეობისა და ურწმუნოობის თანამონაწილეობა არ არის? ჰო და, არ გაგიკვირდეთ, რომ ამ კორონავირუსს, ხელოვნურია იგი, თუ ბუნებრივი, ვერაფერს უხერხებს „ფანტასტიკურად“ განვითარებული მეცნიერება, რომელიც ღმერთს, როგორც უზენაეს შემოქმედს, კარგა ხანია თავხედურად ეტოქება!

აი, თუნდაც განვსაჯოთ იუვენალური სამართლის დამკვიდრება, რაც გველოდება ოჯახური ძალადობისგან ბავშვებისა და ქალების დაცვის საბაბით...

მშობელი ბავშვს თუ გაუწყრა, წიგნის წაკითხვა და გაკვეთილების მომზადება აიძულა, ბავშვს უფლება ექნება პატრულს გამოუძახოს და მშობლისაგან დაცვა სთხოვოს. მშობელი თუ გაჯიუტდა და განაცხადა, რომ კვლავაც აიძულებს შვილებს გაკვეთილების მომზადებას, მაშინ სახელმწიფო ორგანოებს უფლება ექნებათ შვილები წაართვან მშობლებს და აღსაზრდელად სახელმწიფოს ან სხვა მსურველებს გადასცენ. ხოლო თუ მშობელმა თავის ცოლ-შვილს ყური აუწია, ციხე არ ასცდება მაშინ! ე.ი. მშობელი შვილის მტერია, სახელმწიფო ძალოვანი ორგანო – მოყვარე!

როგორია, ჰა! ეს არის დემოკრატია და პიროვნული თავისუფლება?! ცოდვის ტრიალია ეს, ცოდვის ტრიალი! ცოდვიანი ისეა დამძიმებული თავისი ცოდვით, რომ ამ ცოდვის ტრიალს ვერც გრძნობს და ვერც იგრძნობს მანამდე, ვიდრე „კუპრში არ მოუვა ქშენანი“. აი, მაშინ მონანიებაც გვიანი იქნება!

კი არ ვტრაბახობ, მაგრამ მართლა ასე იყო: კორონავირუსის პანდემიის დაწყებამდე გამოვაქვეყნე სტატია „წარღვნა“, სადაც წინასწარმეტყველებასავით გამოვიდა ნათქვამი „წარღვნა კარზეა მომდგარი!“ კორონავირუსის პანდემია განა წარღვნასავით არ არის! იგი ზნეობრივი წარღვნის ნიშნებს აშკარად ამჟღავნებს. ზნეობრივი წარღვნა ფიზიკურ წარღვნაზე უკეთესი ხომ არ ჰგონია ვინმეს, ნეტავი! ზნეობრივი წარღვნა ცივილიზებულ ცხოველად გადაქცევას უძადის კაცობრიობას და მტერმა ნახა ცხოველებად გადაქცეული მთელი ხალხი! არა და, ცალკეული საამისო მაგალითი უკვე მრავლადაა: კაცის კაცთან „კანონიერი“ ქორწინება, მერე მათ მიერ შვილის აყვანა და დედ-მამის ნაცვლად მშობელი №1 და მშობელი №2-ის შემოღება, გეი-აღლუმები და ლგბტ-ს ჭრელი დროშების ფრიალი და ა.შ. და ა.შ.

საიდან დაიწყო ეს თავზარდამცემი ზნეობრივ-ფიზიკური დეგრადაცია, ეს საშინელი გადაგვარება, საკაცობრიო ღირებულებათა „ავად“ მიჩნევა. „ვაი რა კარგი, საჩინო, რა ავად მიგიჩნიესო“ (გურამიშვილი) და ანტიადამიანური საქციელის გაფეტიშება? პიროვნების სრული თავისუფლების სატანისტური იდეის შემოღებით!

გახსოვთ, ალბათ, დოსტოევსკის „ძმებ კარამაზოვებში“ არის ასეთი ეპიზოდი: უფროსი ძმა კარამაზოვი, რომელმაც ევროპული განათლება მიიღო და რევოლუციური იდეებით არის დასნებოვნებული, უმცროს ძმას – ტაძრის მორჩილს არიგებს და ასწავლის: ღმერთი არ არის, სიცრუით გიტენიან თავს რელიგიის მსახურებიო. უმცროსი ძმა პირდაღებული უსმენს მისთვის შეუვალ ავტორიტეტს – უფროს კარამაზოვს და ბოლოს აღტაცებული შესძახებს: „ღმერთი არ არის! ესე იგი ყველაფერი ნებადართულია!“ აი, როდესაც ადამიანი ჩათვლის, რომ ყველაფერი ნებადართულია, იქ იწყება მასში ადამიანობის კვდომა. ეს აზრია გაცხადებული სარტრის ცნობილ შეფასებაში: „თავისუფლებით დაწყევლილი!“ ადამიანია სწორედ ის არსება, რომელიც თავისუფლებით არის დაწყევლილი.

არც ერთი ცხოველი არ იქცევა თავისი ბუნების შეუსაბამოდ, როგორ პირობებშიც უნდა მოექცეს იგი: მგელი შიმშილით მოკვდება და ირემივით ბალახს არ მოძოვს, ასევე მოკვდება ირემი და ხორცს პირს არ დააკარებს. ადამიანი, რახან შემეცნების უნარი უბოძა ღმერთმა, მგელივითაც მოიქცევა და ლომივითაც, უფრო კი ვირივითაც, თუ დასჭირდა, რა თქმა უნდა. და რომ იგი მუდამ ადამიანურად მოიქცეს, ამისათვის არსებობს მისთვის ზნეობრივი და სამართლებრივი კანონები, ტრადიციები და ადათ-წესები, რაც მხოლოდ აკრძალვებია. ახლა ნეოლიბერალებს რომ ჰკითხო, აკრძალვები პიროვნების თავისუფლებას ზღუდავსო და უნდა დავსაჯოთ ყველა, ვინც ბავშვებს (და დიდებსაც!) რაიმეს უკრძალავსო. ეს არის სატანისტური იდეოლოგია, რაც ღუპავს კაცობრიობას, თუ ამ უკანასკნელმა თვითონვე არ დაღუპა ნეოლიბერალიზმი.

„თავისუფლება!“ – როგორც ლოზუნგი ეშმაკის დემაგოგიაა. რომ შესთავაზებ ადამიანს, არ დაფიქრდება ისე დაგიკრავს სიხარულით ტაშს, იმაზე კი არ დაფიქრდება რისგან გათავისუფლებას ჰპირდები: პატიმრობიდან თუ სამსახურიდან, სინდისისგან თუ მოვალეობისგან, ქონებისგან თუ პასუხისმგებლობისგან. აკრძალვების გარეშე თუ გაზარდე ბავშვი, ნებისყოფა როგორ ჩამოუყალიბდება? ნებისყოფა ხომ პიროვნების ფუნდამენტური ნიშანია. „რაც არა გწადდეს, იგი ჰქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა“, – გვმოძღვრავს რუსთველი. ადამიანს თუ არ შეუძლია ეს, ანუ ნებისყოფა თუ არ აქვს, იგი ცხოველია, რადგან სწორედ ცხოველს არ აქვს ნებისყოფა, რაც უნდა ძლიერი იყოს იგი.

ნუთუ ვერ ხვდება საზოგადოება, თუ იგი საზოგადოებაა, რომ რაც უფრო იზრდება სირცხვილის დეფიციტი, მით უფრო სცილდება ადამიანი ადამიანობას. არა და, ნეოლიბერალები ტვინს ურევენ მოზარდებს, როცა უქადაგებენ, რომ სირცხვილის გრძნობა ხელს უშლის ადამიანს სრულად გამოავლინოს შინაგანი ძალებიო. რა გამოდის? თუ რაიმესი გრცხვენია, სწორედ ეს არის სირცხვილი? ვაი, ამათ პატრონს, უბედურს!

ადამიანის ადამიანობა მაშინ დაიწყო, როცა მას სირცხვილის გრძნობა გაუჩნდა. „ბიბლიაში“ ადამისა და ევას სახით მოცემული სიმბოლური სიუჟეტია ამის დასტური. მაშ, ჩვენ ვის და რის წინააღმდეგ მივდივართ? ღმერთის მცნებების წინააღმდეგ? იმ ევროპას მივყვებით, რომელსაც ღმერთი მართლა გარდაცვლილი ჰგონია?

გონს მოვეგოთ ყველანი ერთად ან ცალ-ცალკე მაინც, ვიდრე საბოლოოდ არ წაგვლეკა ჯერ ზნეობრივმა და მერე აუცილებლად ფიზიკურმა წარღვნამ! დავგმოთ სიცრუე და შევუდგეთ სიმართლეს! ამის შემდეგ კი მტერ-მოყვარის გარჩევაც აღარ გაგვიჭირდება!

ზურაბ ცუცქირიძე.
ტელ. 555 56 75 37

ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐ - ᲚᲣᲩᲐᲜᲝ ᲞᲐᲕᲐᲠᲝᲢᲘ

12 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲓᲐᲜ 85 ᲬᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲣᲓᲘᲓᲔᲡ ᲢᲔᲜᲝᲠᲡ ᲚᲣᲩᲐᲜᲝ ᲞᲐᲕᲐᲠᲝᲢᲘᲡ. ᲘᲒᲘ ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥ ᲛᲝᲓᲔᲜᲐᲨᲘ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ.

„ᲞᲐᲕᲐᲠᲝᲢᲘ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲣᲚᲐ, ᲘᲡᲔ ᲮᲛᲐᲛᲐᲦᲚᲐ ᲐᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲐ, ᲑᲔᲑᲘᲐᲥᲐᲚᲡ ᲧᲣᲠᲔᲑᲖᲔ ᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲣᲤᲐᲠᲔᲑᲘᲐ“, — ᲐᲛ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲨᲘ ᲐᲛᲝᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕᲗ.

„ᲞᲐᲕᲐᲠᲝᲢᲘ ᲢᲔᲜᲝᲠᲐᲓ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ, ᲛᲔ ᲢᲔᲜᲝᲠᲐᲓ ᲕᲘᲥᲔᲪᲘ“, — ეს სიტყვები კი მისი „დაფნის გვირგვინის“ მოწილეს, პლასიდო დომინგოს ეკუთვნის...

ლუჩანოს მამა ფერნანდო პავაროტი მცირე ზომის საცხობის მფლობელი იყო, ამავე დროს საკმაოდ კარგი ხმა (ტენორი) ჰქონდა. დედა ადელ ვენტურა სიგარის ფაბრიკის თანამშრომელი გახლდათ. მომღერლის ადრეული მუსიკალური დაგულისყურება დაკავშირებულია მის ოჯახში არსებული იმდროინდელი ცნობილი ტენორების: ენრიკო კარუზოს, ჯოვანი მარტინელის, აურელიანო პერტილეს, ბენიამინო ჯილის და ტიტო სკაპას გრამფირფიტის ჩანაწერებთან. ამ მომღერლებს ხშირად უსმენდა მამამისი. თავისთავად, ამან ლუჩანოს გემოვნებაც დახვეწა და მასში სიმღერის დიდი სურვილი დაბადა. ის კი არა, მან ამ მომღერლების „შეფასებაც“ კი დაიწყო. იგი იხსენებს, რომ ერთ-ერთი მოსმენის დროს, რატომღაც ბენიამინო ჯილის მიერ აღებული მაღალი ნოტი არ მოეწონა, რაზედაც მამამისისგან კარგა გვარიანი ალიყური მიიღო.

ცხრა წლის პავაროტი უკვე მამასთან ერთად მღერის ქალაქის საეკლესიო გუნდში. სკოლის დამთავრების შემდეგ მის წინაშე პროფესიის არჩევის პრობლემა დადგა. ფეხბურთით გატაცებულს, მეკარე უნდოდა გამოსულიყო, თუმცა ადგილობრივ გუნდში ცოტა ხანს მარცხენა გარემარბად თამაშობდა. დედა პედაგოგობას ურჩევდა, მაგრამ საბოლოოდ მუსიკამ გადასძალა. 19 წლიდან პროფესიულ სიმღერას ეუფლება მოდენაში მოღვაწე პედაგოგთან — არიგო პოლასთან. ლუჩანოს აბსოლუტური სმენა აღმოაჩნდა. მისი ვოკალის პედაგოგი ეტორე კამპოგალიანო გახლდათ. ამ დროს მასთან სიმღერას ეუფლებოდა აგრეთვე შემდგომში ცნობილი სოპრანო-მირელა ფრენი. 1961 წელს ლუჩანო დაოჯახდა, მან ცოლად შეირთო საოპერო მომღერალი - ადუა ვერონი. მისი შემოქმედებითი კარიერის დასაწყისიც სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება, იგი ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი ხდება. იმ წელსვე ლუჩანო რეჯიო ემილიას თეატრში გამოდის რუდოლფის როლში პუჩინის ოპერა „ბოჰემაში“. ამავე ოპერაში მალე მისი დებიუტიც შედგა უკვე კოვენტ — გარდენის სცენაზე. ამას მოჰყვა თორმეტი გამოსვლა გალაინდბორნში, მოცარტის „იდომენიაში“, სადაც მომღერალი მუდმივ საოპერო დასთან იწყებს აქტიურ მუშაობას.

ლუჩანო პავაროტის წინსვლაში განმსაზღვრელი როლი ჯოან საზერლენდს მიუძღვის. ცნობილ სოპრანოს ლუჩანო მოეწონა იმიტომ, რომ ტანმაღალი ტენორი, სცენაზე მისი შესაფერისი პარტნიორი იქნებოდა. სწორედ მან დაარწმუნა დიდი მაიამის და ფორტლოდერდეილის საოპერო კომპანიები, პავაროტი მიეწვიათ დონიცეტის „ლუჩია დე ლამერმურის“ ოთხ სპექტაკლში, სადაც საზერლენდიც იმღერებდა. ეს იყო პავაროტისთვის დებიუტი ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამის შემდეგ ჯოანმა იგი ექვსკვირიან გასტროლებზე წაიყვანა მის მშობლიურ ავსტრალიაში, სადაც ტენორი „ლუჩია დე ლამერმურში“, „სომნამბულაში“, „ტრავიატასა“ და „სიყვარულის ნექტარში“ გამოდიოდა. ამ პერიოდში ყველა თანხმდებოდა, რომ მიუხედავად პავაროტის ლამაზი სიმღერისა, მისი სახმო აპარატი ჯერ კიდევ სათანადოდ არ იყო განვითარებული. საზერლენდის უდიდესი მცდელობის შედეგად, ლუჩანომ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა სიმღერის დროს დიაფრაგმით სუნთქვის პროცესს. იგრძნო რა თავი უფრო მყარად, მან თანდათან გაბედულად დაიწყო სცენაზე გამოსვლა. 1966 წელს იგი საზერლენდთან ერთად კოვენტ-გარდენში მღერის დონიცეტის ოპერაში „პოლკის ქალიშვილები“, რომელიც შემდეგ მისთვის საშვი გახდა ამერიკაში.

სულ მალე ტენორი თავის თანაქალაქელ მირელია ფრენისთან ერთად, კარაიანის დირიჟორობით ლა სკალაში გამოდის ოპერა „ბოჰემაში“ და გარკვეულ წარმატებას აღწევს. ოცდათერთმეტი წლის ასაკამდე ლუჩანოს არც ერთი გრამჩანაწერი არ ჰქონდა გამოშვებული. მიუხედავად იმისა, რომ იგი თავისი სიმღერის ჩაწერილი ფირების ნიმუშებს ყველა ცნობილ ხმის ჩამწერ კომპანიებს უგზავნიდა, პროდიუსერები მის ჩაწერაზე მაინც თავს იკავებდნენ.

„მე როდესაც დავიწყე გამოსვლები, მაშინ უკვე ცნობილი იყო ოცი შესანიშნავი ტენორი — მარიო დელ მონაკო, კორელი, ნიკოლო მარტინუცი, დი სტეფანო, რაიმონდი, ბერგონცი და სხვები. ამიტომ მე ვცდილობდი ისეთი ნაწარმოებები მომენახა, რომლებსაც ისინი არ მღეროდნენ“, — იგონებს პავაროტი. ჯოან საზერლენდის მეუღლემ, დირიჟორმა რიჩარდ ბონინგმა მომღერლის ყურადღება მიაპყრო

ᲞᲚᲐᲡᲘᲓᲝ ᲓᲝᲛᲘᲜᲒᲝ, ᲮᲝᲡᲔ ᲙᲐᲠᲔᲠᲐᲡᲘ ᲓᲐ ᲚᲣᲩᲐᲜᲝ ᲞᲐᲕᲐᲠᲝᲢᲘ

ოპერებს, რომლებიც „ბელკანტოს“ისეთ ოსტატებს ჰქონდათ შექმნილი, როგორებიც იყვნენ ბელინი და დონიცეტი.

1968 წელს ლუჩანო მირელა ფრენისთან ერთად გამოდის სან-ფრანცისკოში ოპერა „ბოჰემაში“. მის გამოსვლას გამოხმაურება არ მოჰყოლია. შეუმჩნეველი დარჩა აგრეთვე მისი დებიუტი მაიამიში. მომდევნო სეზონში მეტროპოლიტენ-ოპერაში მომღერალს გამოსვლა ჩაეშალა ძლიერი გაციების გამო. ოცდაათამდე საოპერო სპექტაკლი მოიხსნა სცენიდან, რითაც ამერიკის საოპერო საზოგადოებაში არასაიმედო მომღერლის რეპუტაცია დაიმსახურა. პავაროტი მოდენაში გაფრინდა, სახლში ჩაიკეტა და დიდი მონდომებით დაიწყო საკუთარ თავზე მუშაობა.

1972 წლის თებერვალში იგი საზერლენდთან ერთად მეტროპოლიტენ-ოპერაში „პოლკის ქალიშვილებში“ გამოდის. საზერლენდის ახლო მეგობარმა, პროდიუსერმა ტერი მაკ-იუნგმა პრესას სენსაცია მოუმზადა. ოპერის გენერალურ რეპეტიციაზე ტენორმა ცხრაჯერ აიღო მაღალი ტესიტურის დო, რაზედაც ორკესტრანტებმა მას ფეხზე ადგომით ოვაცია გაუმართეს. დაქირავებულმა ჟურნალისტმა იგი „მაღალი ნოტი დოს მეფედ“ მონათლა. ამის შემდეგ მომღერლის შემოქმედების რთულ გზაზე მწვანე შუქი აინთო. ამ პერიოდში პავაროტი რეგულარულად გამოდის „არენა დი ვერონას“ ფესტივალზე. გამოვიდა რა წარმატებით ჯონი კარსონის ამერიკულ შოუში „დღეს საღამოს“, ამით მან დაამტკიცა, რომ დაბადებულია ტელევიზიისთვის. იგი ამ შოუში კიდევ ათჯერ მიიწვიეს. რენატო სკოტოსთან ტელეტრანსლაციით „ბოჰემაში“ გამოსვლის შემდეგ, ლუჩანომ მაყურებლისგან ოცი ათასი მოწონების წერილი მიიღო. მისი სურათები გამოჩნდა გაზეთ „ნიუ იორკ თაიმსის“ და „ნიუ სუიკის“ ფურცლებზე. რასაკვირველია, ყველაფერი ეს მომღერლის პირად აგენტ ბრესლინისთვის მხოლოდ დასაწყისი იყო. **„ამბობენ, რომ გენიოსები თავისით იკვლევენ გზას, მაგრამ გენიოსისთვის განსაკუთრებულად იოლი იქნება, თუ მოიძებნება ვინმე საზერლენდი, რათა მის წინაშე გახსნას ყველა კარი, ხოლო შემდეგ ვინმე ბრესლინი, რომელიც მასიურ საინფორმაციო საშუალებებს დაინტერესებს და გაუსუფთავებს მისკენ გზას“,** — წერს ნორმან ლებრეხტი. სულ ცოტა ხანში ბრესლინის დახმარებით პავაროტი უკვე 7-ათასიან დარბაზებს ავსებს და იმაზე გაცილებით მეტს გამოიმუშავებს, ვიდრე სხვა რომელიმე მისი ამპლუის მომღერალი საოპერო სცენაზე. მისი „რიგოლეტოს“ მოსასმენად ცენტრალურ პარკში დაახლოებით 200 ათასი ადამიანი მივიდა. ბრესლინის მიერ ზუსტად მოფიქრებული რეკლამის შედეგად, „დეკას“ კომპანიის მიერ გამოშვებული პავაროტის გრამფირფიტა, ფაქტიურად დაიტაცეს მუსიკის მოყვარულებმა.

„იმის პარალელურად, თუ როგორ მატულობდა წონაში პავაროტი, ბრესლინი ეშმაკურად მოფიქრებულ ვარიანტებს ეძებდა, რათა სიმსუქნე გადასხვაფერებულიყო სიდიადეში. ამისთვის მან შეარჩია მრავალფეროვანი მოსასხამი, ბორსალინოს ქუდი, სუფრის ზომის თეთრი ცხვირსახოცი, რომლებიც მომღერალს ემსახურებოდა სოლო კონცერტის დროს, როგორც დამცავი საშუალება...“ - ამბობს ლებრეხტი. უდავოა, რომ ბრესლინმა აიყვანა პავაროტი წარმატების სიმაღლეზე, რომელიც მიუღწეველი იყო ნებისმიერი იმდროინდელი მომღერლისთვის. იგი გამოდის მსოფლიოს ყველაზე დიდ დარბაზებში, სტადიონებზე, ღია არენაზე. მისი სახელი ჩნდება თითქმის ყველა საინფორმაციო საშუალებაში, ამავე დროს ყველაზე მაღალ ჰონორარებს იღებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ვერანაირი საზერლენდი, ბრესლინი, რუდასი თუ სხვა საკმაოდ გაქნილი პროდიუსერი ვერაფერს გააწყობდა, რომ არა თავად პავაროტის ფენომენი, მისი გასაოცრად ლამაზი და მომაჯადოებელი ტემბრის ელეგანტური ხმა, რომელიც თავისი ჟღერადობით და სხივოსნობით გამოირჩევა. მისი სიმღერის უშუალობა იოლად აღქმის საშუალებას იძლევა. მის სიმღერას სულში ღრმად ჩამწვდომი და რაღაც ამოუცნობი ძალის მიმზიდველობა ახასიათებს. როდესაც ვსაუბრობთ პავაროტის გამორჩეულ ინდივიდუალურ თვისებებზე, უნდა ვაღიაროთ, რომ მას ლოგიკური ნიშანდობლიობა გაჩნია. სწორედ ეს თვისებები მოერგნენ მომღერლის პირად ხასიათს, ჩვევებს, სურვილებს. იგი სხვას არ ჰგავს, არავის ბაძავს, რომ ყველაფერი, რასაც აკეთებს, როგორც აკეთებს, მხოლოდ და მხოლოდ საკუთრად მისია, მის პერსონას ასეთად წარმოაჩენს! იგი იმდენად გულწრფელია, რომ მისი სიმღერა ნებისმიერი ადამიანისთვის სრულიად მისაღები და გასაგები ხდება. ეს თავისთავად საერთო აღფრთოვანებას იწვევს. ასე მაგალითად, 1991 წელს ლონდონის ჰაიდ-პარკის კონცერტზე, გადაუღებელი წვიმის მიუხედავად, მის მოსასმენად უელსის პრინცი და პრინცესაც კი მივიდნენ. მის შემოქმედებაში ასეთი შემთხვევები უამრავი იყო.

გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების შუა ხანებიდან პავაროტი ვენის სახელმწიფო ოპერასა და ლა სკალასთან იწყებს თანამშრომლობას. ვენაში იგი გამოდის რუდოლფის როლში ოპერა „ბოჰემაში“ მირელა ფრენისთან ერთად; მღერის — ნემორინოს „სიყვარულის ნექტარში“, რადამესს — „აიდაში“, რუდოლფოს „ლუიზა მილერში“, გუსტავოს „ბალ-მასკარადში“. ვენის საოპერო თეატრში პავაროტი ბოლოს 1996 წელს გამოვიდა ოპერაში — „ანდრე შენიე“. მილანის ლა სკალაში მღერის „აიდაში“, მაესტროს დირიჟორობით. აქვე მონაწილეობს აგრეთვე ფრანკო ძეფირელის მიერ დადგმულ ოპერაში „დონ კარლოსი“, რის შემდეგაც პავაროტი ლა სკალას სცენაზე აღარ გამოსულა. ერთი საინტერესო ამბავი მოხდა 1988 წელს ბერლინში „დოიჩე ოპერის“ სცენაზე, მისი „სიყვარულის ნექტარში“ გამოვლის დროს, მომღერალმა გინესის ახალი რეკორდი დაამყარა, მაყურებლის მოთხოვნით თეატრის ფარდა 165-ჯერ აიწია.

პავაროტის გამორჩეული სასიმღერო ხელოვნება უდავოდ ამშვენებს სამი ტენორის მიერ გამართულ არაერთ საინტერესო კონცერტს. ცნობილია, მომღერლის მჭიდრო თანამშრომლობა სხვადასხვა ჟანრის შემსრულებლებთან მის მიერვე შექმნილ პროექტში „პავაროტი და მეგობრები“. მან სახელი გაითქვა ასევე საქველმოქმედო საქმიანობით, მრავალი ქვეყნის ლტოლვილთა დახმარებისა და წითელი ჯვრისთვის ფონდების მოზიდვის თვალსაზრისით.

2004 წელს ლუჩანო პავაროტი გამოემშვიდობა მაყურებელს. იგი მეტროპოლიტენ-ოპერაში საბოლოოდ გამოვიდა კავარადოსის როლში პუჩინის ოპერაში „ტოსკა“. თეატრში ანშლაგი შედგა. სპექტაკლის დაწყების წინ მან თქვა, რომ ტოვებს საოპერო სცენას. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ადგილებში მომღერლის ხმა სუსტად ჟღერდა, ნიშნად დიდი სიყვარულისა და პატივისცემისა, დარბაზმა იგი 11-წუთიანი ოვაციით გააცილა. მაყურებლის წინაშე მისი ბოლო გამოსვლა შედგა 2006 წელს იტალიის ქალაქ ტურინში, ზამთრის XX ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიაზე.

მკითხველისთვის ერთობ საინტერესოა მომღერლის პირადი ცხოვრება. მას, პირველ მეუღლესთან ადუა ვერონთან 3 ქალიშვილი შეეძინა. მისი მეორე მეუღლე გახლდათ თავისივე მდივანი ნიკოლეტა მანტოვანი, ვისგანაც ერთი ქალიშვილი დარჩა.

ლუჩანო პავაროტი 2007 წელს 72 წლის ასაკში გარდაიცვალა. დაკრძალულია მოდენაში, საგვარეულო აკლდამაში, მშობლებისა და მისი მკვდრადშობილი ვაჟიშვილის გვერდით.

ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲡᲘᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝᲑᲘᲡᲐ, ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲛᲐ ᲒᲐᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲜᲔᲑᲘᲡᲧᲝᲤᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲖᲐᲜᲡᲬᲠᲐᲤᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲘᲗ, ᲣᲓᲘᲓᲔᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ, ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲓᲐ ᲕᲝᲙᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲓᲐᲣᲢᲝᲕᲐ ᲣᲛᲓᲘᲓᲠᲔᲡᲘ ᲒᲐᲜᲫᲘ ᲡᲐᲡᲘᲛᲦᲔᲠᲝ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ, ᲠᲘᲗᲐᲪ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲛᲘᲡᲐᲑᲐᲫ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ ᲓᲐᲠᲩᲐ.

ᲒᲔᲚᲐ ᲥᲝᲥᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲕᲝᲙᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲚᲐᲣᲠᲔᲐᲢᲘ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲐᲛᲐᲒᲓᲐᲠᲘ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲡᲝᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ,
(ᲢᲔᲚ. 551 49 19 97)

...ბაერთიანებული არაბული საამიროებისა და ბახრეინის შემდეგ სუდანი მესამე სახელმწიფოა, რომელმაც ცნო ისრაელი და დაამყარა მასთან დიპლომატიური ურთიერთობა. აშშ-ის პრეზიდენტის განცხადებით, მოსალოდნელია კიდევ ხუთი არაბული ქვეყნის მიერ ისეთივე პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება, როგორიც არაბულმა საამიროებმა და ბახრეინმა მიიღეს.

ახლო აღმოსავლეთისა და ისრაელ-პალესტინის საკითხებში გაუთვითცნობიერებელი მკითხველი უდავოდ დასვამს კითხვას – რა შუაშია აშშ-ის პრეზიდენტი ტრამპიო. და მართლაც, რა შუაშია აშშ აღნიშნული ქვეყნების მიერ ერთმანეთის დიპლომატიურ აღიარებასთან?

პასუხი კითხვაზე არის ასეთი: მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიოში ჩამოყალიბებული პოლიტიკიდან გამომდინარე, აშშ-მა იტვირთა, რბილად რომ ვთქვათ, მსოფლიოს ლიდერობა და მასთან ერთად საფინანსო-ეკონომიკური საკითხების მოგვარება. ამ პროცესში მას არაერთი ბარიერი შეექმნა, რომლის გადალახვა, როგორც დიპლომატიის, მეტადრე ძალის გამოყენების გზით მოახერხა. გადალახულთა რაოდენობა აჭარბებს გადაულახავთა რაოდენობას. მათ შორის უმთავრესი ისრაელ-პალესტინის მწვავე დაპირისპირებაა, რომელსაც ისრაელის სახელმწიფოს შექმნამ შთაბერა სული.

ორი არჩევნების შემყურე

ვნახოთ, რას გადაწყვეტს ჭრელზე ჭრელი ქართველი ამომრჩეველი

იმ დღიდან მოყოლებული არაერთ ომი იყო ისრაელსა და პალესტინას შორის. თითქოს დაზავების შანსიც გაჩნდა, მაგრამ ბოლო მომენტში დაპირისპირებულ მხარეთა ამბიციები წონიდა მშვიდობას და ვითარება ისევ ძველ, საომარ კალაპოტში ბრუნდებოდა.

პალესტინა რომ მარტო ყოფილიყო, ადვილად მოთოკავდა, მაგრამ ზღვა არაბულ-მუსლიმანურ ქვეყნებს – პალესტინელთა ზურგში მდგომებს, ვერაფერი მოუხერხა.

სამწელიწადნახევარი მოანდომა ტრამპმა არაბთა ცალ-ცალკე დაშოშმინებას და მათი ისრაელისადმი პრაგმატულად განწყობას – იმ ქვეყნისადმი, რომელიც ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის პოლიტიკური ინტერესების გამტარებელია. როდესაც ვამბობთ სტრატეგიულ პარტნიორობაზე – ნამდვილს უნდა ვგულისხმობდეთ, ისეთს აშშ-სა და ისრაელს რომ აქვთ, სხვა შემთხვევაში, მათ შორის საქართველო-აშშ-ს, სტრატეგიულს ვერ მივაწერთ – ასეთის არარსებობის გამო. ეს უფრო სუპერსახელმწიფოსა და პატარა, სუსტი ქვეყნის ურთიერთობაა.

ისრაელი, ის ქვეყანაა, რომლისთვის ამერიკა არც ყოველწლიურ მსუყე მრავალმილიარდიან ფინანსურ დახმარებას იშურებს და არც სამხედრო თანადგომას. ისრაელი, აშშ-ის კონგრესისა და პრეზიდენტის ყოველდღიურ დღის წესრიგშია ჩაბეჭდილი.

პრეზიდენტი ტრამპი, წინამორბედი პრეზიდენტებისგან განსხვავებით, გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობს ამ ქვეყანას, ვინაიდან კურირებას მისი მრჩეველი, ქალიშვილის იუდეველი მეუღლე კუშნერი ახორციელებს. სწორედ მან და მისმა გუნდმა მოახერხა არაბთა საამიროებისა და ბახრეინის ისრაელთან შერიგება, ამჯერად კი სუდანისაც!

ტრამპსა და მის ადმინისტრაციას სხვა ისეთი საკამათო საკითხიც უკავშირდება, როგორიცაა ისრაელის ქალაქ იერუსალიმში აშშ-ის საელჩოს გადატანა, რასაც მუსლიმანურ სამყაროში აღშფოთება მოჰყვა, თუმცა ახალი საომარი დაპირისპირება არ გამოუწვევია.

ტრამპი ის პოლიტიკოსია, რომელსაც მდინარის აღმა ცურვა ხიბლავს. მისი გადაწყვეტილებები მოულოდნელი და აშშ-ის ისტებლიშმენტისთვის დამახასიათებელი არ არის, პირიქით, გამაღიზიანებელია.

4 წლის განმავლობაში ტრამპმა ყველასთვის მოულოდნელი პოლიტიკური ნაბიჯები გადადგა, როგორც საშინაო, ისე საგარეო საკითხებში. მათ შორის აღსანიშნავია ჩრდილო კორეის ლიდერთან კიმ ჩენ ინთან პირისპირ შეხვედრები. მართალია, შეხვედრებს ისეთი შედეგები არ მოჰყოლია, ჩრდილო კორეის ბირთვული განიარაღება რომ ჰქვია, მაგრამ დაძაბულობა ვაშინგტონსა და ფხენიანს შორის განელდა.

ტრამპის საგარეო პოლიტიკის არეალში ისეთი საკითხებიც მოექცა, როგორებიცაა კლიმატის ხელშეკრულებიდან აშშ-ის გასვლა; ირანსა და დასავლეთს შორის პრეზიდენტ ობამას დროს დადებული ხელშეკრულების უარყოფა; ჩინეთთან დადებული არაერთი ხელშეკრულების დენონსაცია; რუსეთთან დადებული საშუალო და მცირე მანძილის სარაკეტო ხელშეკრულებაზე უარის თქმა და სხვა.

ტრამპმა, თავისი პრინციპული დამოკიდებულებით, უკიდურესობამდე დაიყვანა აშშ-ისა და ევროკავშირის ურთიერთობა; ნატოსთან დამოკიდებულება. ტრამპი მიიჩნევს, რომ გაერთიანებულ ევროპასთან ურთიერთობას ამჯობინებს ევროპის ცალ-ცალკე ქვეყნებთან ურთიერთობას. ამ თვალსაზრისით ევროკავშირში მან მოკავშირეებიც გაიჩინა პოლონეთის, ბალტიისპირა ქვეყნების, რუმინეთ-ბულგარეთის სახით. გაანელა ურთიერთობა გერმანიასთან და შეეცადა პოლონეთის გერმანიასთან დაპირისპირებას.

ცნობილია ტრამპის ანტინატოური გამონათქვამები, რომელთა მიხედვით, ნატოს არსებობას დიდი დღე არ უწერია. მაგრამ, ვიდრე ეს ორგანიზაცია არსებობს, აიძულებს მის წევრ ქვეყნებს ნატოს ყულაბაში ბიუჯეტიდან 2%-ს გადახდას. ტრამპს არაერთხელ განუცხადებია, რომ არგადახდის შემთხვევაში ის დატოვებს ნატოს.

განვლილი 4 წლის განმავლობაში ტრამპმა ბევრი რამ გააკეთა „ვაშინგტონის ჭაობის“ დასაშრობად, რითაც მან არა მარტო ამერიკის ისტებლიშმენტი გადაიმტერა, არამედ მოსახლეობის გარკვეული ნაწილიც.

4 წლის წინათ თეთრ სახლში შესული ტრამპი – ამერიკული პოლიტიკური სისტემიდან შორს მდგარი, ამავე სისტემის მტრად გამოცხადდა, შესაბამისი შედეგებით. მას ჰყავს მომხრეები, მაგრამ ამერიკული მედიის მიხედვით, უფრო მეტი მოწინააღმდეგეები. დემოკრატებმა, რომლებმაც 2016 წლის არჩევნებში ჰილარი კლინტონის ტრამპთან დამარცხება ვერა და ვერ გადახარშეს, თითქმის მთელი 4 წლის განმავლობაში აწარმოეს ანტიტრამპული პროპაგანდა.

სამი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, 2016 წელს ტრამპისა და რუსეთის ერთობლივი ანტიკლინტონური მოქმედების გამოძიება, თუმცა დემოკრატთათვის უშედეგოდ. კომისიამ ვერ აღმოაჩინა რუსული კვალი ტრამპის გამარჯვებაში.

არანაკლებ სასეირო იყო ტრამპის წინააღმდეგ მისი „მსხვერპლი“ ქალების ხმამაღალი, საჯარო განცხადებები, რომლებმაც პრეზიდენტის პოპულარობას საკმაო ბზარები გაუჩინა.

4 წლის განმავლობაში ტრამპმა შეძლო ეკონომიკური პრობლემების დალაშქვრა, უმუშევრობისა და ინფლაციის შემცირება, რაც 2020 წლის არჩევნებში ტრამპის აშკარა გამარჯვების საწინდარი უნდა გამხდარიყო. მაგრამ, მოულოდნელმა ვირუსმა მიღწეული წარმატებები ტალახში აზილა – წინწაწეული ეკონომიკა მიწაზე დაანარცხა, 200000-ზე მეტი ამერიკელი საიქიოს გაისტუმრა.

ტრამპის მიერ სამწელიწადნახევარში აშენებული, ყველასთვის საოცნებო ამერიკული სახლი ნანგრევებად იქცა, რომელმაც თვით მშენებელი მოიყოლა და ვერვინ იტყვის გადარჩება თუ არა პოლიტიკურ სიკვდილს.

ზოგჯერ ქვეყნის მმართველი, წარმატებული პოლიტიკოსი მოულოდნელი გადაწყვეტილებებით არაპოპულარული და საძულველი ხდება. კორონავირუსი ის გამოწვევაა, რომელიც დემოკრატებმა ხელზე დაიხვიეს და სამი თვე მედიაში 24-საათიან რეჟიმში ატრიალეს. დემოკრატების „ყოჩმა“, თუ 77 წლის ბაიდენს ასეთად მოვნათლავთ, ტრამპთან დებატებში მას კორონავირუსის წინააღმდეგ არასათანადო ბრძოლის ბრალდება წაუყენა, თითქოს თვითონ რომ ყოფილიყო პრეზიდენტი – სხვა რამეს იღონებდა!!!

დებატების ორგანიზატორებმა უარყვეს ტრამპის თხოვნა – დებატების გარკვეული დრო საგარეო პოლიტიკას დათმობოდა, სადაც ტრამპს წარმატებები აქვს მოპოვებული. ვირუსი უნდა იყოს მთავარი საკითხი და საშინაო პოლიტიკაო – იყო დებატების ორგანიზატორების პასუხი. დებატებს არჩევნების შედეგზე რაღაც გავლენა აქვს, მაგრამ არა მთავარი. და ის „რაღაც“ ტრამპის სასარგებლოდ არ დასრულებულა...

აშშ-ში ჩატარებული არაერთი გამოკითხვის მიხედვით, ტრამპი 10 პროცენტით აგებს ბაიდენთან, თუმცა რამდენად ზუსტი და მიუკერძოებულია ეს გამოკითხვები, ძნელი სათქმელია. გამარჯვებისთვის ტრამპს სჭირდება 538 ხმოსნიდან 270. შეძლებს თუ არა ის ამ რაოდენობის ამომრჩეველთა დაგროვებას, 3 ნოემბერს გამოჩნდება.

2020 წლის არჩევნები აშშ-ის ისტორიაში შევა როგორც უმძიმესი არჩევნები. ტრამპის დამარცხების შემთხვევაში აშშ დაემშვიდობება ყველა იმ რეფორმას, რომელიც მან წამოიწყო რევოლუციურად, პრაგმატულად, ზოგჯერ გაუაზრებლად.

აშშ-ის პრეზიდენტისთვის პირველი ოთხი წელი თეთრ სახლთან, კონგრესთან, ისტებლიშმენტთან შეგუების წლებია. გარდა ამისა მომავალ არჩევნებზე – ფიქრის და მოქმედების წლები.

4 წლიდან, ბოლო ერთი წელი მომავალ არჩევნებს უკავშირდება, მასში გამარჯვებისთვის ძალისხმევას ხმარდება. გამარჯვების შემთხვევაში, მომავალ 4 წელს პრეზიდენტი იმ პროგრამის განხორციელებას ახმარს, რომელთა შესრულებაც მას ეწადა. ის აღარ ფიქრობს საპრეზიდენტო არჩევნებზე, ვინაიდან კონსტიტუციით მას მესამედ ვეღარ აირჩევენ. ის ქვეყანაზე ფიქრობს.

ტრამპის არჩევის შემთხვევაში ხომ არ არის მოსალოდნელი ევროკავშირის სრული დასუსტება და დაშლამდე მიყვანა?! ანალოგიური ბედი ხომ არ ეწევა ნატოსაც?! რუსეთთან პრაგმატული ურთიერთობების ჩამოყალიბება, რაც მთავარი მამოძრავებელი იქნება მსოფლიოში ახალი გადანაწილების თვალსაზრისით?!

ალბათ, რუსეთზე იქნება დამოკიდებული – რა ურთიერთობები ჩამოუყალიბდება აშშ-ს ირანთან და ჩინეთთან. პოსტსაბჭოთა სივრცეში აშშ ამჯობინებს ნეიტრალური პოზიციის დაკავებას. ის არც უკრაინისთვის, მით უმეტეს საქართველოსთვის თავს არ გადადებს.

ტრამპი შეეცდება კონგრესმენთა ორნახევარი წლით, მხოლოდ 2-ჯერ არჩევის პრაქტიკის დანერგვას, სხვა რევოლუციური რეფორმების გატარებას.

ტრამპის წაგების შემთხვევაში, ამერიკა დაემშვიდობება სასიკეთო რევოლუციურ გარდაქმნებს. პოლიტიკური ცხოვრება ძველ კალაპოტს დაუბრუნდება. სისტემა განიმტკიცებს საძირკველს, ელიტარული კორუფცია ისევ ზენიტში ავა. ახალი ძალით ამოქმედდება რუსეთის დაშლის პროგრამა. ანტირუსულად განწყობილი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების რუსოფობიური სულისკვეთების ჩვეულებად გადაქცევა.

კორუფცია შემთხვევით არ მიხსენებია. ამ ქვეყნის კორუფციულობის მაგალითია პრეზიდენტობისთვის მებრძოლი ბაიდენი, მისი შვილი და ძმა, რომლებმაც მილიონობით დოლარი აკეთეს ბაიდენის ვიცე-პრეზიდენტობის დროს. მიუხედავად კორუფციის დამადასტურებელი არაერთი საბუთისა, სამართალდამცველები აღარაფერს ღონობენ. ბაიდენის გამარჯვების შემთხვევაში ხომ ამ ამბავს არავინ გაიხსენებს?

აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნებს ჩვენთვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე 31 ოქტომბერს დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებს, რომლის ბედი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა და საქართველოში აშშ-ის საელჩომ რახანია გადაწყვიტეს!

ამერიკას მომავლის საქართველოში კოალიციური მთავრობა „აწყობს“!

ვნახოთ, რას გადაწყვეტს ჭრელზე ჭრელი ქართველი ამომრჩეველი.

ჰამლეტ ჟიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

ეს არჩევნები ამერიკულ ოცნებასა და სოციალისტურ კოშმარს შორის არჩევანია

„ჩვენს ოპონენტებს ამერიკის კომუნისტურ კუბად ან სოციალისტურ ვენესუელად გადაქცევა სურთ. სანამ პრეზიდენტი ვარ, ამერიკა არასდროს გახდება სოციალისტური ქვეყანა!“, – აღნიშნა აშშ-ის პრეზიდენტმა.

დონალდ ტრამპმა ასევე განაცხადა, რომ 3 ნოემბერს მისი მხარდაჭერით ამერიკელები ქვეყანას გადაარჩენენ.

„თქვენი ხმა 3 ნოემბერს ჩვენს ქვეყანას გადაარჩენს. ჩვენ დავამარცხებთ მარქსისტებს, სოციალისტებს, მეამბოხეებსა და მემარცხენე ექსტრემისტებს“, – დასძინა მან.

მე პოლიტიკოსი არ ვარ!..

დონალდ ტრამპი აცხადებს, **რომ თავს პოლიტიკოსად არ თვლის,** ამის შესახებ მან Twitter-ის გვერდზე დაწერა. **„ჩემი განცხადებები არ ჰგავს ვაშინგტონელი პოლიტიკოსების ტიპურ განცხადებებს. ეს იმიტომ, რომ მე პოლიტიკოსი არ ვარ. მე არ ვთამაშობ პოლიტიკური „ისტებლიშმენტის“ წესებით. მე იმისთვის გავხდი პრეზიდენტი, რომ ამომრჩევლების კეთილდღეობისთვის მებრძოლა უფრო მეტად, ვიდრე ვინმე იბრძოდა ჩემამდე“,** – წერს თეთრი სახლის ლიდერი.

ასეულობით მილიონმა ადამიანმა თავისი ნება გამოხატა

აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში წინასწარი ხმის მიცემის უფლებით რეკორდული რაოდენობის ამომრჩეველმა ისარგებლა. „როიტერის“ ინფორმაციით, 80 მილიონზე მეტმა ადამიანმა არჩევანი უკვე გააკეთა, რაც საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში პირველად მოხდა.

ეს რაოდენობა 2016 წლის აქტივობის 58 პროცენტია, რაც კენჭისყრის მიმართ გაზრდილ ინტერესზე მიუთითებს. ბევრმა ადამიანმა აშშ-ში ხმა ფოსტის საშუალებითაც მისცა, რადგან არსებობს საფრთხე, რომ ხალხმრავალ უბნებზე კორონავირუსული ინფექციის გავრცელება მოხდეს. 2016 წელს არჩევნების წინა დღეებში აშშ-ში საკუთარი არჩევანი მხოლოდ 47-მა მილიონმა ადამიანმა გააკეთა.

საფრანგეთში ისლამისტები გააქტიურდნენ

საფრანგეთში ტერორისტული საფრთხის მაქსიმალური დონე გამოცხადდა ნიცასა და ავინიონში დანით განხორციელებული ორი თავდასხმის შემდეგ. ქვეყანაში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად პოლიცია და არმია იქნებიან მობილიზებული. პარასკევს გაიმართება თავდაცვის საბჭოს სხდომა.

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის თქმით, საფრანგეთი შეეჩეხა „მხდალ და ბარბაროსულ“ თავდასხმას, რომელმაც მთელი ქვეყანა გლოვაში ჩააგდო.

დანით თავდასხმები ხუთშაბათს დღისით მოხდა. ნიცაში ახალგაზრდა მამაკაცი დაესხა თავს ნოტრ-დამის ბაზილიკას, ორი ადამიანი ეკლესიის შიგნით მოკლა, მათ შორის ერთს, ხნიერ ქალს, თავი მოჰკვეთა, ერთი ადამიანი კი ეკლესიის გარეთ მოკლა. თავდამსხმელი, რომელიც „ალაჰ აკბარს“ გაჰყვიროდა, დაკავებულია და სავადმყოფოში იმყოფება. ქალაქში დაკეტილია ყველა ეკლესია, თავდასხმას იძიებენ როგორც ტერაქტს.

ამ ინციდენტიდან ორ საათში საფრანგეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში მდებარე ქალაქ ავინიონში მამაკაცი შეეცადა, დანით დასხმოდა თავს პოლიციელებს. ის გამვლელებს ემუქრებოდა და ყვიროდა: „ალაჰ აკბარ“. პოლიციელებმა ის ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს. საუდის არაბეთში დაკავებულია ადგილობრივი მაცხოვრებელი, რომელიც ჯიდაში საფრანგეთის საელჩოს მცველს დაესხა თავს. მცველი მსუბუქად დაიჭრა. ნიცაში ჩაფრინდა საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი. მან განაცხადა, რომ ქვეყანაზე განხორციელდა მორიგი „ისლამისტური თავდასხმა“. საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ 29 ოქტომბერს ქალაქ ნიცაში თავდასხმის მსგავსი შემთხვევები ქვეყანაში კიდევ განმეორდება. **„ჩვენ ომი გვაქვს მტერთან, რომელიც ქვეყნის შიგნით და გარეთაც არის. უნდა გვესმოდეს, რომ იყო და კიდევ იქნება ასეთი საშინელი თავდასხმები“,** – განაცხადა ჟერალდ დარმანენმა.

საფრანგეთს სოლიდარობას უცხადებენ

ევროპელი ლიდერები საფრანგეთში ტერორისტულ თავდასხმებს გმობენ და ფრანგ ხალხს სოლიდარობას უცხადებენ. ამის შესახებ ნათქვამია ევროკავშირის საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში.

ევროპელი ლიდერები მომხდარ თავდასხმებს ევროპის ღირებულებებზე თავდასხმებად აფასებენ. **„ჩვენ, ევროპელი ლიდერები, შოკირებული და დამწუხრებული ვართ საფრანგეთში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმებით.**

უმკაცრესად ვგმობთ ამ თავდასხმებს, რომლებიც წარმოადგენს ჩვენს საერთო ღირებულებებზე თავდასხმას. ჩვენ ერთიანი და მტკიცე ვართ საფრანგეთისადმი, ფრანგი ხალხისა და საფრანგეთის მთავრობისადმი სოლიდარობაში, ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ჩვენს საერთო ბრძოლაში. მოვუწოდებთ მსოფლიო ლიდერებს, თემებსა და რელიგიებს შორის გაყოფის ნაცვლად, დიალოგისა და ურთიერთგაგების მისაღწევად იმუშაონ“, – ნათქვამია ევროკავშირის განცხადებაში.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს თინათინ აფციაურის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** თინათინ აფციაური (პ/ნ 20001055895), დედოფლისწყარო, ს. ქვემო ქედი, პირველი ქ. №242.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: დედოფლისწყარო, ს. ქვემო ქედი, შირაქი (საკადასტრო კოდი: 52.11.34.022).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 9064.4 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 30 ოქტომბერი, 14:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 13 ნოემბერი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP68279420;

აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 682794

6. **მოვალე:** დავით ხუმარაშვილი (პ/ნ 14001001660), დედოფლისწყარო, ს. ქვემო ქედი, პირველი ქ. №152;

გივი ჯღუთაშვილი (პ/ნ 14001014800), დედოფლისწყარო, ს. ქვემო ქედი, პირველი ქ. №152;

ავთანდილ ხუმარაშვილი (პ/ნ 14001001659), დედოფლისწყარო, ს. ქვემო ქედი, პირველი ქ. №152;

დავით წიკლაური (პ/ნ 14001016632), დედოფლისწყარო, ს. ქვემო ქედი, პირველი ქ. №152.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP68279420; ლოტის ნომერი: 682794).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 13 ნოემბრის 10:00 საათამდე.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მზია ბერძენიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მზია ბერძენიძე (პ/ნ 01017020445), თბილისი, ბარნოვის ქ. №34

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: თბილისი, რევაზ ჯაფარიძის ქ. №18 (საკადასტრო კოდი: 01.15.02.058.021).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 3883680.96 ლარი

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2020 წლის 18 ნოემბერი, 15:00 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11;

5. **მოვალე:** FRYONA COMMERCE LTD, თბილისი, დარიალის შესახვევი 2/17;

დიმიტრი კალანდაძე (პ/ნ 01008010505), თბილისი, ათენის ქ. №4;

ლაშა ქორიძე (პ/ნ 01026001073), თბილისი, ახალშენის ქ. 11, ბინა 38;

შპს „ჰექსა“ (ს/ნ 404503195), თბილისი, ნ. ჟვანიას ქ. 12, ბინა 5;

ივანე ბაქრაძე (პ/ნ 01016001933), თბილისი, დარიალის შესახვევი 2/17;

მზია ბერძენიძე (პ/ნ 01017020445), თბილისი, ბარნოვის ქ. №34.

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11;

7. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 18 ნოემბრის 15:00 საათამდე.

სომხები აკრძალულ საბრძოლო მასალას იყენებენ

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციამ Amnesty International-მა სომხეთის მიერ აზერბაიჯანის ქალაქ ბარდას დაბომბვისთვის დაადასტურა კასეტური საბრძოლო მასალის გამოყენება. ორგანიზაციის განცხადებაში აღნიშნულია, რომ 28 ოქტომბერს, ადგილობრივი დროით დაახლოებით 13:30 საათზე, ქალაქის მიმართულებით ერთი ან მეტი „სმერჩის“ ტიპის რაკეტა იქნა გაშვებული, რომელიც საავადმყოფოს მახლობლად მდებარე საცხოვრებელ კვარტლებს მოხვდა.

ბარდის დაბომბვის შედეგად, სულ მცირე, 21 ადამიანი გარდაიცვალა და დაახლოებით 70 დაიჭრა. Amnesty International-ის ექსპერტებმა დაადასტურეს ფოტოკორესპონდების მიერ გადაღებული ფოტოსურათების ავთენტურობა. მათზე აღბეჭდილი 9№235 კასეტური საბრძოლო მასალის ფრაგმენტები, რომელიც ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა „სმერჩიდან“ იყო ნასროლი.

„კასეტური საბრძოლო მასალებით საცხოვრებელი კვარტლების დაბომბვა არის სასტიკი და უპასუხისმგებლო ქმედება, რასაც ადამიანების სიკვდილი, დაჭრა და ტანჯვა მოჰყვა“, – განაცხადა Amnesty International-ის რეგიონალურმა დირექტორმა აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში მარია სტრუტერსმა.

◎ პანდემია

კორონა ტატამზეც შეიჭრა

ეშმაკს არ სძინავსო, ისეა ქართველ ძიუდოისტ ქალთა საქმე.

ის-ის იყო, გვირაბის ბოლოში სინათლე გამოჩნდა და გოგონებმა ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად შეკრებაზე გორს მიაშურეს, რომ ერთბაშად ხუთი მათგანი და ერთ-ერთი მწვრთნელი კორონავირუსით დასნეულდნენ.

ტატამის ინფიცირებულ ოსტატთა შორის არიან ქვეყნის როგორც ახალგაზრდული, ისე ეროვნული ნაკრები გუნდების წევრები, რომლებსაც ნოემბერში კონტინენტურ ფორუმებზე, შესაბამისად, ხორვატეთსა და ჩეხეთში უნდა ეჭიდავათ.

კობა კობახიძე

◎ ლეგიონერი

ქართული წვლილი

10 ქულა, 6 მოხსნა და 2 პასი 23 წუთში — ასეთი პირადი მონაგრით დაასრულა „ვალენსიასთან“ მოსკოვში გამართული ევროლიგის ჯგუფური რაუნდის მეექვსე ტურის მატჩი ცსკა-ს ქართველმა ლეგიონერმა თორნიკე შენგელიამ, თვით შეხვედრა კი მასპინძლებმა 84:75 მოიგეს და ტურნირში თანაბარ ბალანსზე გავიდნენ — 3-3 გამარჯვება და დამარცხება.

წარმატების მთავარი შემოქმედი 17 ქულით მაიკ ჯეიმსი გახდა, სტუმრებს კი 15 ქულით ნიკოლა კალინიჩმა ულიდერა.

6 ნოემბერს ცსკა ათენში „პანათინაიკოსს“ ეწვევა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ფეხბურთი

პრტახები მოეხსნა

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის მეორე ტურის მშვენება მესისა და რონალდუს მორიგი დუელი უნდა გამხდარიყო, მაგრამ კორონავირუსზე კიდევ ერთმა დადებითმა ტესტმა პორტუგალიელს თამაშის საშუალება არ მისცა.

სამაგიეროდ, არგენტინელთან დაპირისპირებული კატალონიელთა პრეზიდენტის ბართომეუს პოსტიდან გადადგომამ სტუმართა ლიდერს ფრთები შეასხა და, პიკესა და ტერ შტეგენის არყოფნის მიუხედავად, რონალდ კუმანის გუნდი ძველ „ბარსელონას“ დაემსგავსა.

ყოველივეს გათვალისწინებით, „იუვენტუსი“ უყოჩო ფარას მოგვაგონებდა და ლოგიკურადაც დამარცხდა — 0:2 (დემბელე, მესი — პენალტით), თუმცა, ისიც სათქმელია, რომ მასპინძელთა ესპანელ ბომბარდირს მორატას ვიდეორეფერიმ მიკროსკოპული ოფსაიდების გამო ერთბაშად სამი(!) გატანილი გოლი გაუუქმა.

ჩვენთვის საყურადღებო ბრძოლაში დონეცკის „შახტარი“ შინ „ინტერს“ დაუზავდა — 0:0 და ჯგუფის ლიდერი გახდა. სამწუხაროდ, დონბასელთა დაცვის ქართველი ბურჯი დავით ხოჭოლავა ტრავმის გამო შესვენების შემდეგ შესაცვლელი გახდა.

დღის მოვლენად შეიძლება შეფასდეს „მანჩესტერის“ შეცვლაზე შესული ფლანგელის რეშფორდის შესრულებული ჰეთ-თრიქი ამბიციურ „ლაიფციგთან“ — 5:0.

მეტ-ნაკლები დოზით ქებას იმსახურებენ აგრეთვე „რეალი“, „ატალანტა“ და „ფერენცვაროში“, რომლებმაც ორბურთიანი ჩამორჩენა აღმოფხვრეს, შესაბამისად, „გლადბახთან“, „აიაქსთან“ და კიევის „დინამოსთან“ — 2:2, დანარჩენმა ფავორიტებმა კი აქტივში დაგეგმილი ქულები ჩაიწერეს.

მათგან განსაკუთრებით გაუჭირდა ტურნირის მოქმედ გვირგვინოსანს — მიუნხენის „ბაიერნს“, რომელმაც მოსკოვში მხოლოდ შეხვედრის მიწურულს გატეხა „ლოკომოტივის“ ღირსეული წინააღმდეგობა — 2:1 (გორეცკა, კიმიხი; მირანჩუკი).

გიორგი ზოთაძე

◎ მეფე

კერპიც, მტერიც...

ზოგისთვის იგი ფეხბურთის მეფეა, ზოგისთვის — საკუთარი თავის მტერი და გამოუსწორებელი „მოკაიფე“, თუმცა, ვერავინ უარყოფს მის გენიალურობასა და ტალანტს.



მართალია, „რეჟიმისტი“ არ ყოფილა, მაგრამ ფიფას მაფია ბეჭებზე მაინც დასცა და არგენტინას ჯერ მსოფლიოს ჩემპიონობა მოუტანა, ხოლო შ;ემდეგ — „ოქროს“ ტოლფასი „ვერცხლი“.

აღარაფერს ვამბობთ „ნაპოლიში“ შექმნილ ეპოქაზე, როცა პროვინციულ „სერია-ა“-ს კლუბს ორჯერ „სკუდეტო“ ჩაახუტა და ერთხელაც — უეფას თასი.

და კიდევ, სამშობლოში მისი სახელობის რელიგიური მიმდინარეობის მომხრეები საკუთარ კერპზე ლეგენდის სადიდებლად აშენებულ ეკლესიაში ლოცულობენ.

გნებავთ, სექტანტები უწოდეთ, გნებავთ — ფუნდამენტალისტები. ნიჭი, ძამიკო, ნიჭი! იგი ხომ უკვდავია.

გუშინ დიეგო არმანდო მარადონა 60 წლის გახდა.

ბეჟან დოლიძე

◎ დიდი კაპიტანი

ერთადერთი და განუმეორებელი

დღეს საქართველოში, ბევრის აზრით, ისტორიული არჩევნებია, როცა ბოროტსა უნდა სძლიოს კეთილმან...

ჰოდა, რადგან ასეთ საეტაპო მნიშვნელობის მოვლენასთან გვაქვს საქმე, მოდით, უახლესი წარსულის ფრიად საამაყო ფურცელი გადავშალოთ და გავიხსენოთ ჯერაც ერთადერთი ქართველი, სპორტის სათამაშო სახეობის წარმომადგენელი, რომელმაც, როგორც გუნდის კაპიტანმა, ჩემპიონთა თასი შემართა! ალბათ, მიხვდით, ვისაც ვგულისხმობთ.

დიახ, მართალი ბრძანდებით, საუბარია **გურამ მინაშვილზე**, რომლის როლიც თბილისის „დინამოს“ მაშინდელ ტრიუმფში ჩვენებურთა ლეგენდარულმა თავკაცმა ოთარ ქორქიამ მოკლედ ასე შეაფასა: **„ჩემთვის, როგორც მწვრთნელისთვის, ძნელია ბიჭებიდან ვინმეს გამოყოფა, რადგან თითოეული მათგანი თავის ადგილზე იყო და ყველა უკიდურესი მონდომებითა თუ გულმოდგინებით სჭედდა ამ საპატიო გამარჯვებას, მაგრამ მაინც მსურს ვახსენო გურამ მინაშვილი, რომელიც მოედანზე გუნდის კაპიტანიც იყო და მისი ნებისმიერი მოქმედების შემკვრელი ორგანიზატორიც“.**

დინამოელთა და საკავშირო ნაკრების გამთამაშებელმა მრისხანე მადრიდის „რეალთან“ ჟენევაში 1962 წლის 29 ივნისს 90:83 მოგებული ფინალური მატჩი 9 ქულით დაასრულა, მაგრამ ლიდერის თვისებები იმჯერადაც შესანიშნავად გამოამჟღავნა, რადგან მაშინ, როცა თამაში ქულა-ქულაში მიდიოდა და ბრძოლის ბედი ჯერაც გადაუწყვეტელი იყო, მისი ზუსტი ტყორცნების შემდეგ პარტნიორები ოთხჯერ დაწინაურდნენ და ერთხელ ანგარიში გაათანაბრეს. ამაში შეხვედრის ოქმი და სტენოგრამა დაგარწმუნებთ.

ვფიქრობთ, დაგაინტერესებთ ტრიბუნებზე არსებული ვითარებაც, ამიტომ კიდევ ერთხელ მოვუსმინოთ ოთარ ქორქიას: **„შვეიცარიაში დანიშნული სატიტულო მატჩის თარიღი შუა საკურორტო სეზონს დაემთხვა, რამაც საგრძნობლად გაზარდა „სამეფო კლუბის“ ქომაგთა რაოდენობა, რასაც ესპანეთის სხვადასხვა ქალაქებიდან თანამემამულეთა მხარდასაჭერად სპეციალურად ჩასულ ტურისტთა რამდენიმე ჯგუფიც დაემატა. ისინი მხურვალედ ეხმარებოდნენ „თეთრებს“, მაგრამ გულშემატკივრები ადგილობრივ მაყურებელთა სახით ჩვენც გამოგვიჩნდნენ, რომლებიც თბილისელთა ყოველ ლამაზ კომბინაციასა და წარმატებით დასრულებულ შეტევას ერთსულოვანი ოვაციით ხვდებოდნენ (ნუ დავივიწყებთ სამშობლოს მოწყვეტილ ემიგრანტებსაც: ქართული პროზის პატრიარქს გრიგოლ რობაქიძეს, მენშევიკე:ბის პერიოდის შინაგან საქმეთა მინისტრის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პირველი ხელმძღვანელის სპირიდონ კედიას ქალიშვილს დიკა კედიას ფრანგ მეუღლესთან ერთად, შალვა დადიანის პირველ მეუღლეს ნინო ჩხეიძეს, გალაკტიონის მუზას მერი შერვაშიძეს, აგრეთვე ჟენევის უნივერსიტეტის სტუდენტს გუგუ კობახიძეს). რაც შეეხება პირენეელებს, განსაკუთრებით ბრწყინავდა ამერიკიდან ჩაყვანილი 21 წლის გიგანტი (205 სმ) უეინ ჰაიტაუერი, ვინც 30-ქულიან პირად მონაგარს მოუყარა თავი. იგი გამოირჩეოდა სისწრაფით, დინამიური მოძრაობით, საკმაოდ მაღალი ნახტომით, მრავალფეროვნებით, უნივერსალიზმით — ზუსტად ტყორცნიდა როგორც ცენტრის, ისე გარემარბის პოზიციებიდან, აგრეთვე დაცვაში მჭიდრო თამაშით, სადაც ისე იდგა, როგორც კლდე და კბილებით იცავდა თავისი ფარის უშიშროებას.**

დაბოლოს: სავსებით სწორი იყო ფიბას გენერალური მდივანი ვილი ჯონსი, რომელმაც ესპანელებს ქარიშხალი უწოდა, ჩვენი გუნდი კი მისი აზრით, იგივე ქარიშხალი იყო, პლუს დისციპლინა“.

აქვე კიდევ რამდენიმე საგულისხმო დეტალს გაგაცნობთ: რადგან ჟენევაში შესაფერისი სიდიდის საკალათბურთო სივრცე არ არსებობდა, შეხვედრას ჰოკეის 5-ათასიანმა დარბაზმა „პატნორე დეს ვერნეტსმა“ უმასპინძლა, ხოლო იგი უნგრელმა ერვინ კოშაიმ და შვეიცარიელმა როჟე ვებერმა იმსაჯეს.

დარწმუნებულნი ვართ, კარგად მოგეხსენებათ, რომ გადამწყვეტი ბრძოლა, რომელიც ჩვენთვის ასე საამაყო ძლევაი საკვირველით დაგვირგვინდა, საბჭოთა კავშირსა და ესპანეთს შორის შექმნილი დაძაბული პოლიტიკური სიტუაციის გამო ჩაშლის პირას იყო, მაგრამ ვინაიდან ფრანკოს მთავრობამ უარი თქვა ჩვენს მიღებაზე და თავისი კლუბის საბჭოეთში გამოშვებაზე, ამიტომ კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ თამაში ნეიტრალურ ალპურ სახელმწიფოში დანიშნა და მთელი ხარჯები - 15 ათასი დოლარი ჯარიმის სახით პირენეელებს დააკისრა.

ახლა კი, მოდით, მოქმედ პირებსა და შემსრულებლებს როლები შევუცვალოთ და უკვე ბატონ გურამსაც დავუთმოთ ადგილი: **„ოთარ ქორქია ლომი იყო მოედანზე და საკუთარი ლომობა მწვრთნელობაშიც დაამტკიცა! არ გინდა, ადგე და ამ პატარა პროვინციული მხარის (მაშინდელი პარამეტრებით) გუნდმა ამდენი გრანდი ჩამოიცილო გზიდან და ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვო?! ჩვეულებრივ, ასეთი რამ სპორტში არ ხდება. ცსკა-ს ორივე შეხვედრაში კუდით ქვა ვასროლინეთ, მერე კი ფინალში „რეალსაც“ მოვახრევინეთ ქედი. მართლაც უძლიერესი და, რაც მთავარია, ერთ მუშტად შეკრული გუნდი ვიყავით, რომელიც შემდეგ სეზონში ნახევარფინალამდე მივიდა“.** აი, ასეთ გუნდს არ გააყოლეს შვეიცარიაში ჟურნალისტი და ფოტორეპორტიორი(!).

ჩვენი წერილის გმირის პორტრეტის სრულყოფილად წარმოსაჩენად გაუწყებთ, რომ მისი ეკონომისტი მამა ვანის რაიონის სოფელ შუამთიდან იყო, დიასახლისი დედა ასევე ლამაზ იმერულ სოფელ ბაშში დაიბადა, ერთადერთი — 3 წლით უმცროსი ძმა ზურაბი კი 1993 წელს ავტოკატასტროფაში დაეღუბა. გახლდათ გამსახურდიების ოჯახის სიძე.

ოქროს მედალზე დაამთავრა დედაქალაქის 55-ე საშუალო სკოლა და წარჩინებით — „გეპეი“. დიპლომის აღების შემდეგ მცირე ხნით ენგურის კაშხლის მშენებლობაზე იმუშავა — მისი ჯგუფი ბეტონის ხარისხს ამოწმებდა.

დასკვნის სახით გეტყვით, რომ ღირსეული მამულიშვილი ყოველთვის მადლიერებით იხსენებდა მოამაგე მწვრთნელებს შალვა დიასამიძეს, მიხეილ კეკელიძეს, გიორგი ავალიშვილს, ოთარ ქორქიას, აგრეთვე დამრიგებლებს საკავშირო ნაკრებში — გიორგი ტიხონოვსა და სტეპან სპანდარიანს.

ვიტალი ჯაფარიძე

საღარბაზო ბარათი

დაიბადა 1936 წლის 25 ნოემბერს თბილისში. გარდაიცვალა 2015 წლის 1 მარტს ... კარიერა: 1953-1966 — თბილისის „დინამო“, 1968-1971 — თბილისის „სინათლე“, 1957-1964 — სსრკ ნაკრები. ტიტულები: რომის XVII ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი (1960), მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი (1963), ევროპის სამგზის ჩემპიონი (1957, 1959, 1963), ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი (1962), სსრკ ორგზის ჩემპიონი (1953, 1954), სსრკ ჩემპიონატის ორგზის ვერცხლის პრიზიორი (1960, 1961), სსრკ ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი (1965), სსრკ ხალხთა სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორი (1959), სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი (1965), ღირსების ორდენის კავალერი.

ᲠᲝᲪᲐ ᲗᲕᲘᲗ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲨᲐᲘᲠᲝᲒᲡ...

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲒᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲗᲐᲜᲮᲚᲔᲑᲘᲗ

ნაციონალი როდი ვარ,
მე ევროპიდან მოვდივარ,
ზურგი ვაქციე მიშასა,
სამაგიეროდ დავუდექ
გვერდში ვაშაძე გრიშასა,
ერთად ვეწევით უღელსა,
უკვე მივედით მთის ძირას,
ხვალ მწვერვალს თავს მოვექცევით
და „დავაგორებთ“ ბიძინას,
გათეთრებული მაყუთი
ხვალ შეეცვლება შავითა,
არ დაგავიწყდეთ, იცოდეთ,
მე ვარ ბაქრაძე დავითა...

ჩაიწერა
ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲝᲫᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ,
ს. ტყვიავი

ᲙᲚᲐᲠᲜᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲜᲮᲚᲔᲑᲘᲗ

ვაშაძე ვარ ბედნიერი,
ხვალ ვიქნები პრემიერი,
იმიტომაც არ ვჩერდები,
ჩემი არი არჩევნები...
ყველას სახეს ღიმილს მოვფენ,
ავაშენებ ხელად სოფელს...
არ გადავალ დაპირებას
თვით სამოთხის ნაპირებთან.
გული მერჩის, ვაშაზე ვარ,
პრემიერი ვაშაძე ვარ.
ღმერთმა თუ დრო მამყოფინა,
ყველა მეტყვის, პრემიერი
შენისთანა არ ყოფილა
და დავურჩენ იმედს ოხრად,
გავუკეთებ მიშას ოყნას...

ჩაიწერა
ᲗᲐᲙᲝ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲛᲐ
ს. სართიჭალა

ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲑᲐᲜᲙᲘᲠᲐᲚᲦᲐ

ელოსაო, მელოსაო,
ვინ გაიტანს ლელოსაო?..
შენი ბანკი რა უყავო,
ხაზარაძე მამუკაო?..
პოლიტიკა შეგიყვარდა,
შეაფარე თავიო,
იქნებ მართლა გამოგიხტეს
სანუკვარი ღლავიო.

ბევრი შენი ნატყუარი
ფულის ბოხჩას გადრისო,
მიდი, ტოლი არ დაუდო
ჯაფარიძე ბადრისო.
ელესაო, მელესაო,
ვა რა ცუდად წახდიო,
გუშინდელი ბანკირაღას
არ გეღირსა ტახტიო!..
გაბითურდი, ბანკიაღა,
ვა, რა ცუდად წახდიო!..

ჩაიწერა
ᲐᲜᲐ ᲜᲐᲪᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ
სოფელი ბაში

ᲒᲘᲢᲐᲠᲐᲖᲔ ᲓᲐᲡᲐᲛᲚᲔᲠᲘ

გოცირიკა რომანა ვარ,
მიღალატა დრომან ავად,
სულ ბიძინას ბრალი არის,
ქრონიკულად რომ ვარ ავად,
„ბიძინა მჭირს“, ვიცი, ერთხელ
ჩემი დროც რომ მოვა თავად
და „ოცნებას“გადექცევა
არჩევნები საგლოვარად...

ჩაიწერა
ᲒᲘᲒᲐ ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐᲛ,
ქ. მცხეთა

ᲤᲐᲜᲓᲣᲠᲘᲡ ᲗᲐᲜᲮᲚᲔᲑᲘᲗ

ნათელაშვილო შალვაო,
უნდა გაჭამო ჰალვაო,
მიდი, გაშალე ხელები
შეიკუნტრუშე დავლაო,
არჩევნების წინ კარგია
სულ სოფელ-სოფელ დავლაო,
იქნებ შენს შვილსაც ეღირსოს
პოლიტიკური დავლაო.
ინგლისურს ტრამპი გიქებს და
ამერიკელთაც იციან:.
ბიძინას დასამარცხებლად
შეგცქერის ოპოზიცია.
ყბედების ფალავანი ხარ
და ტყუილების გუდაო,
შენ რა ხეირსაც მოელი,
არავის მისცე ხურდაო
შენებრი პირველი კაცი
ბარისახოში ჰყუდაო
აბა, ჰე, ნათელაშვილო,
სასახლეგალავნიანო,
ფრთხილად, შე ენად ქცეულო,
ხალხმა არ გაგანიავოს!..

ჩაიწერა
ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲣᲒᲐᲕᲐᲛ
ს. ბარისახო.

ᲨᲐᲘᲠᲔᲑᲘ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲖᲔ

უგულავა, ბოკერია,
ორივ ერთი ოხერია...

* * *

გირჩია თუ მელიაო,
ორივ ერთი გველიაო...

* * *

მელიქა და ჭიაბერა
პარლამენტმა მიაბერა...

* * *

ბოკუჩავა თინაო
ჟანგიანი რკინაო...

* * *

ნადირაშვილი ირმაო
ზურგზე შეისვა ვირმაო.

* * *

ბეჟაშვილი ლევანიო
ნეხვიანი მტევანიო...

* * *

გიორგი კანდელაკუნამ
ბოლომდე გაატრაკუნა...

* * *

ოქროუშვილ ირაკლისა
ხალხი ფუნას მიაყრისა...

* * *

სულ ერთია, ერთი ძღრენი.
ნაცია თუ „ლელოელი“...

ჩაიწერა
ᲔᲚᲔᲜᲔ ᲮᲝᲨᲢᲐᲠᲘᲐᲛ
ქ. ყაზბეგი

ᲤᲝᲠᲢᲔᲞᲘᲐᲜᲝᲡ ᲗᲐᲜᲮᲚᲔᲑᲘᲗ

სალომე ვარ, გადავლახე
ყოველგვარი სარცხვინეთი,
სამუდამოდ ვასახელე
მე ქალური საცხვირეთი.
ვიცი, ერთხელ მოვესწრები
იმედების დამარჯნებას,
მოვესწრები არჩევნებში
მიშას გუნდის გამარჯვებას,
ხალხმა უკვე გვაპატია
ჯალათობა გუშინდელი,
ამიტომაც ვყელყელაობთ,
აღარავის ვუშინდებით.
პრეზიდენტის სეხნია ვარ,
ჩვენს დროშასაც ამადა ვშლი
ვიცი, ხმას არ დამამადლით
მე, სალომე სამადაშვილს.

ჩაიწერა
ᲘᲠᲛᲐ ᲜᲐᲓᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ
ს. მეჯვრისსევი

„ᲒᲐᲛᲝᲣᲕᲐᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ“ - ᲒᲐᲛᲝᲣᲕᲐᲚ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ კომპოზიტორი **ვაჟა აზარაშვილი** ჯგუფს „გამოუვალი მდგომარეობა“ სასამართლოში უჩივლებს. ბატონმა ვაჟამ, საკუთარი უფლებების დასაცავად „საქართველოს საავტორო უფლებამფლობელთა ასოციაციას“ – (GERA) მიმართა. კომპოზიტორმა ჩვენთან ინტერვიუში განმარტა, რომ 29 ოქტომბერს, ნაციონალური მოძრაობის მიერ ორგანიზებულ აქციაზე, ზემო ხსენებულმა ჯგუფმა სიმღერა „დინამო“ მისი ნებართვის გარეშე შეასრულა და ამის გამო მათ დაჯარიმებას მოითხოვს.

„ეს იყო პოლიტიკური ამბავი. როგორ შემეძლო მე, ეს გამეკეთებინა?! გამორიცხულია! მაშინ მოედანზე ვიქნებოდი. მე სრულიად კონტრასტულ პარტიასთან მაქვს საქმე. აქციაზე ჯგუფმა „გამოუვალი მდგომარეობა“ ჩემი ნებართვის გარეშე შეასრულა სიმღერა „დინამო“. ეს იყო ამაზრზენი! მე უკვე დავუკავშირდი „საქართველოს საავტორო უფლებამფლობელთა ასოციაციას“ – (GERA). ისინი ჩემი სახელით დაწერენ საჩივარს და დააჯარიმებენ. და საერთოდ, აეკრძალოს ყველა მომღერალს ჩემი სიმღერების შესრულება ჩემი ნებართვის გარეშე, თორემ კიდევ დააჯარიმებენ და ღირსებიც იქნებიან“, – განაცხადა ვაჟა აზარაშვილმა.

ᲒᲐᲡᲐᲪᲘᲜᲔᲑᲔᲚᲘ Ა(Მ)ᲑᲔᲑᲘ

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ ᲯᲘᲮᲣᲠᲗᲐᲜ:

— რას შვრები, შე კაცო?! აგერ, უკვე ნახევარი საათია, ყურმილი ხელში გიჭირავს და კრინტი არ დაგიძრავს!

— სუ, თუ ძმა ხარ, ცოლს ველაპარაკები!

* * *

ᲫᲛᲐᲠᲘ:

— ძვირფასო, მე შენ ციდან ვარსკვლავი უნდა მოგიწყვიტო!

ᲪᲝᲚᲘ:

— არავითარი ვარსკვლავი, კუკური! დღეს სახლიდან ფეხს არ გადაადგამ!

* * *

— **ᲒᲘᲧᲕᲐᲠᲕᲐᲠ**, ჩემო თამუნია? — ეკითხება ახლადშერთულ მეუღლეს ბიჭიკო.

— შე გათახსირებულო, მე თამუნია კი არა, მირანდა მქვია, შე ნაძირალა შენა! — თვალების ამოკორტნას დაუპირებს ახალშერთული მეუღლე.

— იცი, ქალო, რას გეტყვი? თუ ყველა წვრილმანზე ამოდენა ბაზარს ატეხავ, ეიღე და ახლავე დაახვიე დედაშენთან! — აქეთ უტევს ახალგამომცხვარი ქმარი.

* * *

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ:

„იმასთან დაკავშირებით, რომ ცოლმა მიმატოვა, ვეძებ საცოლეს, რომელიც მამაკაცის სვიტერისა და კაშნეს ქსოვის დასრულებას შეძლებს“.

* * *

ᲪᲝᲚᲘ ეკითხება ქმარს:

— ძვირფასო, რა საჩუქარი გინდა მიიღო დაბადების დღეზე?

— ჩუმად იყავი და ხმა არ ამოიღო!

* * *

ᲫᲛᲐᲪᲐᲪᲘ მონადირეები ცოლებზე ლაპარაკობენ:

— ჩემი ცოლი მელიას ჰგავს — ისეთივე ჟღალია, სწრაფი, მოქნილი, თან ცბიერი! — ამბობს ერთი.

— ჩემი კი მოხდენილი, ლამაზი და ტანადია, დიდრონი, წყლიანი თვალებით შველს ჰგავს! — აღტაცებით ჰყვება მეორე.

— ეჰ, აბა მე რაღა ვთქვა, გარეგნულად ჩემი ცოლი კი ჰგავს ადამიანს, მაგრამ ისიც რაღაც ცხოველი უნდა იყოს!

* * *

— **ᲐᲑᲐ**, ერთი იმ ქათამს შეხედე, რა მოწყენილია, ხომ არ დაგვეკლა? — ეკითხება ცოლი ქმარს.

— კი ბატონო, დავკლათ, მაგრამ არა მგონია, ამან დიდად გაამხიარულოს!

ბათუმის ბულვარს ახალი ქანდაკებები შეემატა

ნეო-კლასიკური სტილის ქალის სკულპტურები წელიწადის ოთხ დროს განასახიერებენ. ქანდაკებები ძველ ბულვარში, თავდადებულის ქუჩის გასწვრივ მდებარე სკვერში, შადრევნის ირგვლივ განთავსდა.

ახალ ქანდაკებებთან ერთად სკვერი კლასიკური მუსიკით გახმოვანდა. საღამოს საათებში მოსასვენებლად მისულ ვიზიტორებს შადრევნის წყლის დამამშვიდებელ ხმასთან ერთად ვივალდის ოთხი დროის მოსმენა შეეძლება.

საზღვაო ბაღის ღია სივრცეში ქანდაკებები ისტორიულად ბულვარისთვის დამახასიათებელი ფენომენი იყო. სწორედ მათი ფუნქციური დანიშნულებიდან გამომდინარე, ქალაქ ბათუმის მერიამ მიიღო გადაწყვეტილება და „ოთხი დროს“ ამსახველი სკულტურები დღეს უკვე ბათუმის ბულვარს ამშვენებს.

„არ შეიძლება ნიჭის ტალახში ამოგანგვლა... ნამუსიც კარგი საქონელია!“

პოლიტოლოგი ლევან ლორთქიფანიძე სოციალურ ქსელში გულწრფელ წერილს აქვეყნებს:

„დააკვირდით ნატო მეტონიძეს. მას არასდროს გაუკეთებია ხმამაღალი, მკვახე და უპასუხისმგებლო განცხადებები. საკუთარი ეგოს დაკმაყოფილების მიზნით არ ურბენია ერთი იაფფასიანი მდაბიო გადაცემიდან მეორე იაფფასიან მდაბიო გადაცემაში. ყოველთვის იდგა იმ მხარეს, რომელიც თავად მიაჩნდა მართებულად. მე არ მახსოვს ოდესმე ეღალატოს თავისი პრინციპებისთვის, სამოქალაქო პოზიციისთვის. მიყვარს, რადგან ნიჭიერია, დახვეწილია, საკუთარ თავთან მართალია.



გავიხსენოთ გიორგი უშიკიშვილი, მგონი, დაბადებამდე მიშისტი იყო და დღემდე ერთგულია თავისი მრწამსის, რაც ნამდვილად მეტყველებს მის სასარგებლოდ. ლექსენიც (არ ვიცი ერთად იწერება თუ ცალ-ცალკე) სულ მიშაზე იხევდა ტანსაცმელს, მოღალატე არ ეთქმის.

მერაბ სეფაშვილს კი შეუძლია ერთ დღეს გაჩეჩილაძეების გვერდით იდგეს მიტინგზე, მეორე დღეს კი შეშლილის ლიბიდოთი მოხიბლულმა „ჩემი გმირი გიწოდე“ იმღეროს ვნებით. თამრიკო ჭოხონელიძეს შეუძლია ერთ დღეს თვალებდახუჭულმა ცრემლები აღვარღვაროს ფსალმუნების გალობის დროს, მეორე დღეს კი ნანუკა ჟორჟოლიანს უწოდოს ღირსეული ქართველი ქალი, რომელმაც იცის, პოლიტიკის საშუალებით როგორ ემსახუროს ხალხს (იგავმიუწვდომელი უსირცხვილობაა). ბუბა კიკაბიძე კი ხან რეზოს უმშვენებს გვერდს მოქალაქეთა კავშირის ყრილობაზე შევარდნაძის მხარდასაჭერად, ხან რუსეთის ელიტის სხეულზე აქვს ფულურო გაკეთებული, ხან კი ფსევდოპროდასავლური და მხოლოდ სიტყვით (და არა საქმით) ანტირუსული პარტიის მიტინგზე მღერის „თბილისოს“ რუსულად.

განა არ შეიძლება, რომ შეგეშალოს, მოინანიო, სწორ გზას დაადგე! როგორ არა, შეიძლება!!! ყველას გვეშლება. მაგრამ ესენი სულ მართლები არიან! არ შეიძლება ნიჭის ტალახში ამოგანგვლა! ნამუსიც კარგი საქონელია!“ — წერს ლევან ლორთქიფანიძე.

◎ სულიერება

წმიდისა დიდებულისა მოციქულისა და მახარებელისა ლუკასი

31 ოქტომბერს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ლუკა მოციქულს იხსენიებს. ოთხი მოციქული, რომლებმაც სახარება დაწერეს, მახარებლებადაც იწოდებიან. ესენია: მათე, მარკოზი, ლუკა და იოანე.

...წმინდა ლუკა მახარებელი გამორჩეული პიროვნებაა ქრისტრიანობის ისტორიაში. მის ავტორიტეტზე თუნდაც ისიც მეტყველებს, რომ იგი ავტორია ახალი აღთქმის ორი წიგნისა. ერთი მისივე სახელობის სახარებაა, მეორე — „საქმე მოციქულთა“.

ნიშანდობლივია ისიც, რომ სწორედ ანტიოქიაში დაიბადა წმინდა ლუკა მოციქული. იგი განათლებულ ბრძენთა წრეს ეკუთვნოდა, პროფესიით ექიმი იყო. როცა მან ქრისტეს შესახებ შეიტყო, პალესტინაში წავიდა და თავად უფლისგან ეზიარა მაცხოვნებელ სწავლებას. წმიდა ლუკა ჯერ კიდევ ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების ჟამს გაგზავნა იესომ, როგორც ერთი სამოცდაათ მოციქულთაგანი, უფლის მიერ ცათა სასუფევლის შესახებ პირველი ქადაგებისთვის.

აღდგომის შემდეგ ქრისტე ემაუსში მიმავალ ლუკას და კლეოპას გამოეცხადა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ლუკა მახარებელმა სახარება პავლე მოციქულის ხელმძღვანელობით დაწერა.

ლუკა მახარებელმა პირველმა დახატა მარიამ ღვთისმშობლის სახე ყრმით, უფალი იესოთი ხელში. აწყურის ღვთისმშობლის ხატსაც ხომ მას უკავშირებენ! ლუკა მახარებელს მოგზაურობისას ფიცარზე დაუწერია თავისი მეგობრების — პავლე და პეტრეს ხატები.

ამბობენ, რომ, როდესაც ყოვლადწმიდა ქალწულს თავისი სახე დაუნახავს ლუკას დაწერილ ხატზე, მას წარმოუთქვამს — „ჩემგან შობილისა და ჩემი მადლი იყოს ამ ხატებთან“.

გიული ლიპარტია

ანსამბლები განახლებულ შენობებში მოემზადებიან

განათლების სამინისტროს მხარდაჭერით, ანსამბლ „რუსთავისა“ და მისი სტრუქტურული ერთეულის — ხელოვნების აკადემია „მართვეს“ შენობას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა.

სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ფარგლებში განხორციელდა: შენობის ნაწილობრივი გამაგრებითი სამუშაოები; რეაბილიტაცია ჩაუტარდა სამ სარეპეტიციო დარბაზს, ცენტრალურ კიბეს, დარბაზის მიმდებარე სივრცეებს: კულისებს, ხმის ჩამწერ სტუდიასა და გასახდელებს.

განახლდა შენობის ფასადები, დერეფნები და ოთახები. დამონტაჟდა სახანძრო უსაფრთხოების სისტემა; შენობის პერიმეტრზე მოეწყო წყალამრიდი და სადრენაჟე სისტემა; საკონცერტო დარბაზში დამონტაჟდა აუდიო გახმოვანება და დასრულდა საკონცერტო დარბაზის გათბობა-ვენტილაციის შიდა ქსელის მონტაჟი; შენობა სრულად ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. არტოს ბაღში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს მასშტაბური რეაბილიტაცია 15 წელზე მეტია, არ ჩატარებია.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 3 ნოემბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.2338; ევრო - 3.7913;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.1997;
100 რუბლი - 4.0794; თურქული ლირა - 0.3888;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9022;
1000 სომხური დრამი - 6.5677.

ამინდი 31 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+4,	დღე	+26
მთიანი რაიონები -	ღამე	+2,	დღე	+24
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+12,	დღე	+27
მთიანი რაიონები -	ღამე	+4,	დღე	+25
თბილისი:	ღამე	+10,	დღე	+24

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge